საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 6 სექტემბერი 1995 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი №156 (225)
ფასი 1000 რუბლის შ/კ კუპონით




## პირველი სვეტი



გამუდმებით გვესვრიან, ჩვენები ცოტას პასუხობენ, არც ტყვია-წამალი აქვთ და არც თავის გამოჩენა უყვართ... — მიხო მოსულიშვილი — „როგორ წავაგე ომი"

2 გვ.

## ოპერატიული სამმართველო და არა... საგადასახადო პოლიცია

„ნაღდი ანგარიშსწორების გამოვლენილი ფაქტების გამო ოპერატიული სამმართველოს მიერ არც ერთ მეწარმეზე სანქცია არ გაცემულა", — აცხადებს სამმართველოს უფროსის მოადგილე ირაკლი კობაიძე და საუბრობს თავისი უწყების მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

2 გვ.

## გამარჯობა, საქართველო!

**– წერილი საფრანგეთიდან**



„აშილმა ქართველები ისევ ისეთები აღმოაჩინა. თავაზიანნი, მოლაპარაკენი, კეთილშობილები (რაც მათ გამოხედვაში ჩანს), გულღიაგახსნილნი, ხელგაშლილები, უზომოდ სტუმართმოყვარენი, ვითომ ყოველდღიური, საშინელი სირთულეები არ არსებობდეს"!

3 გვ.

## მეხუთე რესპუბლიკის მეხუთე პრეზიდენტი

ამერიკელი ქალები, თურმე, ალტაცებაში მოდიოდნენ მომხიბლავი ახალგაზრდა ფრანგით. იგი მოგვიანებით საფრანგეთის ოცდამეორე პრეზიდენტი გახდა. დღევანდელ ნომერში იხილავთ ჟაკ შირაკის პოლიტიკურ პორტრეტს.

3 გვ.

დღეს ფეხბურთში შესარჩევი ციკლის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართება. გთავაზობთ ქვეჯგუფების მიხედვით გუნდების სატურნირო მდგომარეობას.

4 გვ.

# მადლის დაბრუნება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მესამე სართულზე, გუმბათოვან დარბაზში (სადაც ახლა სტუდენტთა სამკითხველოა), აღმართული იყო ტრაპეზი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელზე. იქ ჟამს სწირავდნენ და ქადაგებდნენ სახელოვანი მამულიშვილები: შემდგომში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და დეკანოზი კორნელი კეკელიძე. ეს იყო დავით აღმაშენებლის სახელობის ერთადერთი ტაძარი საქართველოში და მის თავზე აღმართული ჯვარი ცხადყოფდა უნივერსიტეტისა და ტაძრის ერთიან მისიას — მეცნიერების გასარწმუნოებას და სარწმუნოების გამეცნიერებას.

არაა შემთხვევითი, რომ ეს ტაძარი დავით აღმაშენებლის სახელს ატარებდა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ქადაგებდა: „ამ ტაძარს... მეოხად ჰყავს აფხაზეთ-ქართველთა მეფე წმიდა დავითი. პატარა ქართველთა მფარველად შემთხვევით როდია არჩეული მეფე — აღმაშენებელი! მომავლის თაობის აღმზრდელთა და მზრუნველთ გულითა სნამდათ და პირით აღიარებდნენ, რომ, წმიდა დავითის მადლით, მის მიერ ერთხელ აღშენებული საქართველო კვლავ აღშენდებოდა და აჰყვავდებოდა...

სასოება ესე, მიუხედავად ჩვენ ზედა მოწევნულისა ცეცხლისა და მახვილისა, სიყმილისა და სრვისა, თანდათან გვიძლიერდება, — წმიდის დავითის სახლსა ამას შინა დასადგურების შემდეგ საქართველომ იწყო შენება; ას ექვს წელს ტყვეობაში მყოფი საქართველოს ეკლესია კვლავ თვითთავადი გახდა, ნაწილ-ნაწილად დაყოფილნი და დაქსაქსულნი ძენი მისნი ურთიერთთან შეთანხმდნენ... მოკლედ, — ისტორია მეორდება და დავით აღმაშენებლის დრო გვიბრუნდება..."



უწმინდესი პატრიარქის მიერ თითქმის 80 წლის წინ წარმოთქმული იმედით აღსავსე სიტყვებს მაშინ აღსრულება არ ეწერა. საქართველომ ისევ დაკარგა თავისუფლება, უნივერსიტეტის გუმბათქვეშ აღმართული ტრაპეზიც გაუქმდა, მაგრამ... ისტორია ისევ განმეორდა და ამჟამად უკვე უნივერსიტეტის ეზოში აშენდა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი. „მადლი დაბრუნდა", — თქვა ტაძრის კურთხევის შემდეგ წარმოთქმულ ქადაგებაში ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა.



წმინდა მეფე დავითის მეოხებით, ეს ტაძარი უნდა გახდეს რწმენისა და ცოდნის გამაერთიანებელი ადგილი, რადგან „ჭეშმარიტია რწმენა, რომელიც ესწრაფვის ცოდნად ქცევას, ხოლო ჭეშმარიტია ცოდნა, რომელიც დაშენებულია ამგვარ რწმენაზე და სრულყოფს მას".

## დააკავეს „მხედრიონის" წევრები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, 4 სექტემბერს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს ჯაბა იოსელიანის პირადი დაცვის 10 წევრი, რომლებსაც თან აღმოაჩნდათ არარეგისტრირებული 4 პისტოლეტი (2 მაკაროვი, 2 ტეტე) და 4 გაუფორმებელი ავტომობილი (2 გაზ-31, 2 უცხოური მარკის. მანქანების მფლობელების ვინაობას პოლიცია უახლოეს ხანებში დაადგენს). ამას გარდა, დაცვის ერთ-ერთ წევრს უპოვეს ნარკოტიკული საშუალება.

საქართველოს პროკურატურის პრეს-ცენტრის ცნობით, 4 სექტემბერს, გვიან ღამით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონის" თავმჯდომარის მოადგილე დოდო გუგეშაშვილი. მას ბრალად ედება წარსულში რამდენიმე ბანდიტურ თავდასხმაში მონაწილეობა.

გუშინ, სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ჯაბა იოსელიანმა კომენტარი გაუკეთა დოდო გუგეშაშვილის დაკავების ფაქტს და განაცხადა: „ისეთ სახელმწიფოში, სადაც ყაჩაღობას და ბანდიტიზმს დააბრალებენ აფხაზეთის ომის ისეთ მონაწილეს, როგორიც დ.გუგეშაშვილია, ის სახელმწიფო დაღუპულია. დ. გუგეშაშვილმა სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლას შეხწირა ოჯახი და პირადი ცხოვრება. რაც შეეხება მის მიერ ადრე ჩადენილ რაიმე დანაშაულს, გაუგებარია აქამდე რას ელოდებოდა პოლიცია".

## პრეზიდენტობის კანდიდატები

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 4 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო მოქალაქეთა ჯგუფის განცხადება ჯაბა იოსელიანის პრეზიდენტობის კანდიდატად წარსადგენად, რის საფუძველზეც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გასცა ხელმოწერების შესაგროვებელი ბლანკები. დაწყებულია ხელმოწერების შეგროვება.

P.S. ამჟამად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალურად დევს პრეზიდენტობის 4 კანდიდატის განცხადება: კერძოდ, გურამ ხარატიშვილი (აკადემიკოსი, ეროვნული ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი), როინ ლიპარტელიანი (დეპუტატი, საქართველოს აგრარული კავშირი), აკაკი ბაქრაძე (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება), ჯაბა იოსელიანი (მოქალაქეთა ჯგუფი).

მინისტრთა კაბინეტის პრეს-ცენტრის ცნობით, გუშინ პრემიერმინისტრმა ოთარ ფაცაციამ გამართა თათბირი, რომელზეც განიხილეს თბილისის ვაკის რაიონში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საკითხები. მოისმინეს გაერთიანება თბილგვირაბმშენის სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები. სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად, საქართველოს სააქციო კომერციულმა ბანკმა გამოყო 1 მილიარდი კუპონი, ხოლო პურპროდუქტების კორპორაციის თავმჯდომარემ ანზორ ბურჯანაძემ 20 მილიარდი კუპონის დახმარება აღუთქვა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელებს. პრემიერმინისტრმა აღნიშნა, რომ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები ბიზნესმენების დახმარება დააჩქარებდა ტაძრის მშენებლობას.

**ცურინდა**

## „ქალაქში სრული სიწყნარეა"...(?!)

29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შემდეგ თბილისში გარკვეული დაძაბულობა შეინიშნება. ქალაქის სხვადასხვა უბანში ჯავშანტექნიკით შეიარაღებული შინაგანი ჯარისა და პოლიციის ნაწილების დისლოკაცია ხელს უწყობს მითქმა-მოთქმას. გუშინაც ქალაქში გავრცელდა ჭორი, თითქოს თბილისში იყო სროლები, არიან დაჭრილები და სხვა. ჩვენ დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს, საიდანაც გვაცნობეს, რომ ქალაქში სრული სიწყნარეა, არავითარი ექსცესი არ ყოფილა და არც არის მოსალოდნელი. რაც შეეხება სროლებს, ისინი გაუგებრობის შედეგია, კერძოდ თბილისის თავზე დაფრინავდნენ პოლიციის საპატრულო ვერტმფრენები, რაც „საეჭვოდ" მოეჩვენათ ტელევიზიასთან განლაგებულ პოლიციის ნაწილებს და „გამართლებული" ცეცხლი გაუხსნეს. საბოლოოდ, საქმის ვითარება გაირკვა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

## „ე" ინდექსის „საიდუმლოებანი"

ალბათ, მრავალ ჩვენგანს მოეპოვება მანქანაზე დაბეჭდილი ცნობა იმის თაობაზე, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა რეგიონებში ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან შემოდის კვების ისეთი პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ამ ქვეყნებში აკრძალულ საკვებ დანამატებს. ამ ნუსხებში ჩამოთვლილია 60 დასახელების დაკონსერვებული პროდუქტი, რომელთა რეალიზაცია აკრძალულია და ისინი თითქოს იწვევენ სხვადასხვა დაავადებას: კუჭ-ნაწლავის აშლილობასა და წყლულს, გამონაყარს, ხელს უწყობენ კიბოს წარმოქმნას ორგანიზმში.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემებით, ეს ცნობა მხოლოდ დეზინფორმაციაა. იმპორტული პროდუქტის დიდი უმრავლესობის შესაფუთ ქაღალდზე აღნიშნულია ჩვენი მომხმარებლისთვის ნაკლებად ცნობილი ინდექსები (და არა სიმბოლოები): ე-109, ე-208, ე-315 და ა.შ. ეს საკვები დანამატების ინდექსებია. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, საკვები დანამატები ის ბუნებრივი შენაერთები და ქიმიური ნივთიერებებია, რომლებიც, თავისთავად, ჩვეულებრივ არ გამოიყენება ხოლმე საკვებში, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით შეაქვთ პროდუქტში მისი უკეთ შენახვის უზრუნველყოფის მიზნით. ასეთია, მაგალითად, საღებრები, ჟანგვაწინაღი ნივთიერებები, სტაბილიზატორები, გემოსა და სურნელის მაძლიერებლები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკვები დანამატების უსაფრთხოებას სისტემატურად განიხილავს გაეროსთან არსებული ექსპერტთა გაერთიანებული კომიტეტი. ევროპის გაერთიანების ფარგლებში მოქმედებს ეკოლოგიური კომისია. სხვათა შორის, სწორედ ამას მიანიშნებს პროდუქტის ინდექსში აღნიშნული ასო „ე". დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების კვების მრეწველობაში გამოყენებისთვის აკრძალული დანამატების ნუსხა კი სულ სამი პუნქტისგან შედგება. ეს არის — ე-121 (ციტრუსის წითელი საღებავი), ე-123 (საღებარი ამარანტი) და ე-240 (კონსერვანტი ფომალდეგიდი).

## ფაქტები და მოვლენები

### ჩატარდა შემოწმება

სააგენტოს კორესპონდენტს რესპუბლიკის პროკურატურიდან შეატყობინეს, რომ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამტრედიის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანაში ჩაატარა შემოწმება, აღმოჩნდა, რომ ლიმონათის საჩამოსხმელო ხაზი და ალუმინის 2 ცისტერნა უკანონოდ იყო დაქირავებული და გაყიდული ჯართის სახით. მიმდინარეობს მასალების შესწავლა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად.

### მეფის შთამომავლები ქუთაისში

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 4 სექტემბერს, ქუთაისში ჩავიდნენ ორი სამეფო დინასტიის წარმომადგენლები: ბატონიშვილი გიორგი, ქალბატონი ნურია, რუსეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი რომანოვი, ქალბატონი ლეონიდა ბაგრატიონ-რომანოვა და რუსეთის სამეფო სახლის მეთაური ბატონიშვილი მარიამი. ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გიორგი ბაგრატიონმა განაცხადა, რომ მას შვილთან ერთად (ბატონიშვილი ერეკლე სწავლას გააგრძელებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) განზრახული აქვს სამშობლოში დაბრუნება, რითაც სურს მაგალითი მისცეს ქართველ ემიგრანტებს. სამეფო დინასტიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და შემოწირულობის სახით, 100-100 დოლარი გაიღეს დავით აღმაშენებლის ძეგლის ასაშენებლად.

### მეშახტეთა პრობლემები

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 4 სექტემბერს, ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი ტყიბულში შეხვდა მეშახტეებს (როგორც ცნობილია, 30 აგვისტოს დროებით შეწყდა ტყიბულის მეშახტეთა გაფიცვა, რათა მუშაობას შესდგომოდა სპეციალურად შექმნილი შემთანხმებელი კომისია) შეხვედრაზე, სადაც 285 კაცით წარმოდგენილი იყო ოთხივე შახტა, მიიღეს გადაწყვეტილება, განისაზღვროს საქნახშირის დეპარტამენტისა და შახტების უფლებამოვალეობანი, კერძოდ, დეპარტამენტი გათავისუფლდეს ოპერატიული მართვის ფუნქციებისგან, ხოლო შახტებს მიეცეს საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

### ნუთუ, ასეთი გამძლე გამოდგა კოლორადოს ხოჭო?

ჯერ კიდევ არ დასრულებულა ეგრეთწოდებული „ვაზის საქმე", როცა კერძო ფირმების მიერ დასავლეთ საქართველოში შემოტანილი უხარისხო შხამით შეწამვლის შედეგად დიდ ფართობებზე დაილუპა ვაზი, რომ წარმოიქმნა ახალი, ამის ანალოგიური ინციდენტი. აჭერად საჩხერის რაიონში შემოიტანეს პრეპარატი კაფსულებით, რომელიც განკუთვნილი იყო იქ გავრცელებული კოლორადოს ხოჭოს მოსასპობად. ახლა ძნელია იმის თქმა, მავნებელი გამოდგა მეტად მედეგი ამ პრეპარატისადმი, თუ თვით იგი არ იყო ხარისხიანი, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად: იქ, სადაც გამოიყენეს ეს ჰერბიციდი, დაილუპა ნათესები. ამის შედეგად რაიონი დაკარგავს საკმაო რაოდენობის კარტოფილსა და პამიდორს.

### წყალდიდობა გაგრაში

ფაქტობრივად, მთლიანად წყალქვეშ აღმოჩნდა ქალაქი გაგრის ცენტრი 4 სექტემბერს, დილით დაწყებული კოკისპირული წვიმის შემდგომ.

როგორც ქალაქის ადმინისტრაციამ „ინტერფაქსის" სააგენტოს აცნობა, „ჩაძირულია" ათობით საცხოვრებელი სახლი, ძლიერმა მეწყერმა მწყობრიდან გამოიყვანა სარკინიგზო ხაზი, მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია, ავტომაგისტრალებზე კი აყრილია ასფალტი.

მსგავსი წყალდიდობა გაგრაში 10 დღით ადრე, 25 აგვისტოს მოხდა. მაშინ სტიქიით გამოწვეული ზარალი 11 მილიარდი რუბლით შეფასდა.

### „თბილისი" და „ინტურისტი" — 5-ვარსკვლავიანი სასტუმროები?!

რა თქმა უნდა, ამ სახელწოდების მქონე დღევანდელ ოტელებს არ ვგულისხმობთ, მაგრამ როგორც ჩვენთვის სარწმუნო წყაროებით გახდა ცნობილი ბრიტანულმა და გერმანულმა სამშენებლო ფირმებმა იყისრეს აღნიშნული სასტუმროების ადგილზე ახალი 5-ვარსკვლავიანი ანალოგიების მშენებლობა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ამ სასტუმროების ბატონ-პატრონი.

**საქინფორმი**

ეკონომიკა

# ოპერატიული სამმართველო და არა... საგადასახადო პოლიცია

სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 22 თებერვლის 44-ე განკარგულების თანახმად, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით (№207) განსაზღვრულია საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს დროებითი დებულება. დებულებაში აღნიშნულია ოპერატიული სამმართველოს სტრუქტურა, ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი, სამსახურში მიღების წესები, სხვა ორგანოებთან მუშაობის პრინციპები, კონტროლი და ზედამხედველობა საგადასახადო ინსპექციის მუშაობაზე.

ოპერატიული სამმართველოს მიერ გაწეულ მუშაობაზე, მის ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებზე გვესაუბრება სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგადასახადო ინსპექციის უფროსი ლეიტენანტი, 31 წლის **ირაკლი კოპალეიშვილი.**



— რამდენად სწორია [illegible] სამსახურის სახელწოდების ამგვარი ფორმულირება „საგადასახადო პოლიცია", როგორც მას საინფორმაციო საშუალებები უწოდებენ ხოლმე?

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მომკვლევ ორგანოთა რიცხვს დაემატა საგადასახადო ინსპექციის სამმართველო. ასე რომ, ფორმულირება — საგადასახადო პოლიცია, სწორი არაა. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბებას, რაც მოსახლეობაში, ძველი პოლიციის და ძალისმიერი სტრუქტურების ფონზე, უფრო მეტ გაღიზიანებას გამოიწვევდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და 180-ე პრიმა მუხლებით — გადასახადებისგან თავის არიდების ან გადასახადების დიდი ოდენობის დამალვის მოკვლევას საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველო აწარმოებს. მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტების გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს ევალება. დანარჩენი შვიდი მომკვლევი ორგანო ზემოხსენებულ მუხლებთან დაკავშირებით შემოწმებებს არ აწარმოებს. ეს უშუალოდ ჩვენი სამმართველოს ფუნქციაა. ხშირად 160-ე და 180-ე პრიმა მუხლებზე მოკვლევას შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულებრივი დივერსიების და რეკეტის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურთან, უშიშროებასა და პროკურატურასთან ერთობლივად ვატარებთ.

გამოვლენილია თუ არა ფაქტები, როცა ინდივიდუალური მეწარმე ან რომელიმე ორგანიზაცია თავს არიდებს გადასახადების გადახდას? ამ შემთხვევაში თქვენი სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ რა ხერხებს და მეთოდებს იყენებს ოპერატიული სამმართველო ურჩი მეწარმეების მიმართ?

— გადასახადების გადახდისგან თავის არიდების 26 ფაქტია გამოვლენილი. ურჩი მეწარმეების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, დამნაშავეთა ნაწილი სანქცირებულია, ნაწილი თავდებშია გამოსული. გამოძიების შედეგები, ჯერჯერობით, უცნობია.

რა ღონისძიებები გაატარეთ იმ თაღლითი ბანკირების მიმართ, რომელთაც ათასობით მეანაბრე გაწბილებული დატოვეს?

— ერთადერთი კომერციული ბანკია „იმპერიალი", რომლის მესვეურიც გადასახადებისგან თავის არიდების გამო იქნა დაკავებული, სხვა დანარჩენი ბანკების მეპატრონეები თაღლითობის მუხლით არიან დაპატიმრებული.

ოპერატიული სამმართველოს მუშაკებს იარაღის ტარების უფლება აქვთ. ოპერატიული სამმართველოს სახით ხომ არ გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ძალისმიერი სტრუქტურა?

— მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში იარაღის ტარების უფლების შესახებ ოპერატიული სამმართველოც ფიგურირებს. სამმართველოს კუთვნილი იარაღი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა რეგისტრირებული. ოპერაციაზე გასვლისას, განსაკუთრებული შემთხვევების დროს, როცა ორგანიზაციაში დოკუმენტების ამოღებისას წინააღმდეგობას ვაწყდებით, იძულებული ვართ, იარაღი გამოვიყენოთ, რაც ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ძალზე იშვიათი შემთხვევაა. ამჟამად იარაღი სამორიგეო ნაწილშია ჩაბარებული და მხოლოდ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გაიცემა თანამშრომლებზე.

დღეს ნებისმიერი უწყება პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდის. ამ მხრივ როგორაა საქმე ოპერატიულ სამმართველოში?

— თანამშრომელთა 60 პროცენტი უმაღლესი ეკონომიკური განათლებითაა, სამმართველო საგადასახადო ინსპექციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამსახურის პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექტებული.

— სადღეისოდ ასე მომრავლებული შემმოწმებელი ორგანოების ფონზე ოპერატიული სამმართველოს გამოჩენამ მეწარმეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია...

— ჩვენ შეგნებულად არ ჩამოვყალიბდით დამოუკიდებელ სტრუქტურად — საგადასახადო პოლიციად, რათა, მართლაც მომრავლებულ შემმოწმებელთა ფონზე, მეწარმეებზე ზედმეტი ზეწოლა არ მოგვეხდინა. ჩვენ, ჩვეულებრივ, საგადასახადო ინსპექციასთან ერთად ვატარებთ მოკვლევას. ჩვენი სამმართველო მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ, განსაკუთრებულ ფაქტებს ამოწმებს. გეგმიურ ან დავალებით შემოწმებებში ოპერატიული სამმართველო არ ერევა.

— ფიზიკური ძალის გამოყენებას თუ მიმართავთ ურჩი მეწარმეების მიმართ?

— ოპერატიული სამმართველოს დებულებით, სამმართველოს თანამშრომელთა უფლებები პოლიციის და იარაღის ტარების შესახებ კანონების ჩარჩოებშია მოქცეული. ჩვენთვის რაიმე უპირატესობა ან ზედმეტი უფლებამოსილება არავის მოუნიჭებია. ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ფიზიკური ძალა, საბედნიეროდ, ჯერ არ გამოგვიყენებია.

გამოვლენილია თუ არა ფაქტები, როცა თავად სახელმწიფოს აქვს მეწარმის ვალი?

— ასეთი ფაქტები მრავლად მოგვებოვება. როცა სახელმწიფო ორგანიზაციას რომელიმე მეწარმის ვალი აქვს, მაშინ საკითხი ორ სუბიექტს შორის ჩვენი სამმართველოს ჩაურევლად წყდება. მსგავსი ფაქტების მოკვლევა ოპერატიული სამმართველოს კომპეტენციებს სცილდება. რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფოს ვალს, ამასთან დაკავშირებით პარლამენტის განკარგულებით, პირველი დეკემბრიდან აპრილამდე მეწარმეები გათავისუფლდნენ ორპროცენტიანი საურავებისგან. ეს იყო მეწარმეების სასიკეთოდ წინგადადგმული ნაბიჯი.

— მინისტრთა კაბინეტის 394-ე დადგენილების — იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ანგარიშსწორების აკრძალვის შესახებ, „ხანმოკლე სიცოცხლის" პერიოდში თუ ჩაატარეთ შემოწმებები ამ სფეროში და ამ მიმართებით თუ იქნა გაცემული სანქციები იურიდიულ პირებზე?

— ნაღდი ანგარიშსწორების გამოვლინების ფაქტების გამო ოპერატიული სამმართველოს მიერ არც ერთ მეწარმეზე სანქცია არ გაცემულა. როგორც ცნობილია, მინისტრთა კაბინეტმა ზემოხსენებული დადგენილების მოქმედება უკვე შეაჩერა.

— რა ღონისძიებებს მიმართავთ საგადასახადო ინსპექციის არაკეთილსინდისიერ მუშაკთა მიერ კორუფციის, მექრთამეობის გამოვლინების შემთხვევებში?

— ოპერატიული სამმართველოს დებულებით განსაზღვრულია კორუფციის ფაქტების გამოვლინება საგადასახადო ორგანოებში. საგადასახადო სამსახურის მუშაკთა მხრიდან რაიმე დამახინჯების ფაქტებს ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია.

— ნებისმიერ უწყებაში, ყოველ შემთხვევაში აქამდე, სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. ვფიქრობ, ამ საყოველთაო სენს ვერც საგადასახადო ინსპექცია გადაურჩებოდა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ საგადასახადო სამსახურის ყველა თანამშრომელი გულისყურით და კეთილსინდისიერად ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, რომლის მოწმენიც საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები არაერთგზის ვყოფილვართ. მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ მუშაკებს ან ხელს აფარებთ, ან...

— ჩვენ ხელს არავის ვაფარებთ და არც არავის ვმფარველობთ. ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტულ ფაქტზე ინფორმაციები არ მიგვიღია. კორუფციის გამოვლენის შემთხვევაში კი, უფლებამოსილნი ვართ, არაკეთილსინდისიერი მუშაკების მიმართ დამსჯელი ღონისძიებები გავატაროთ.

— რამდენადაც ცნობილია, საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს, დამსახურებისამებრ, მინიჭებული აქვთ სამხედრო წოდებები...

— პარლამენტის მიერ მიღებული კანონით განსაზღვრულია წოდებები და პრივილეგიები როგორც საგადასახადო სამსახურის, ასევე ოპერატიული სამმართველოს მუშაკებზე. მაგალითად, საგადასახადო სამსახურის მრჩეველი ან საგადასახადო სამსახურის რიგითი, უფროსი ლეიტენანტი და ასე შემდეგ.

ესაუბრა

**დიანა გაბროშვილი**

# ტერორიზმის აქტი ხელს არ შეუშლის სავალუტო ფონდის გეგმების შესრულებას

საგადასახადო სამსახურში გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ექსპერტთან პერსი კიერსტედთან.

აღსანიშნავია, რომ იგი მეოთხედ ჩამოდის საქართველოში. პერსი კიერსტედი ამჟამად მუშაობს საგადასახადო სამსახურის სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საგადასახადო სამსახურში მიმდინარე რეფორმები სავსებით შეესაბამება სავალუტო ფონდის მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, რომელთა გათავისებამაც პროგრესული ასახვა ჰპოვა საგადასახადო სამსახურის საქმიანობაში, რაც თვალნათლად აისახა რესპუბლიკის ბიუჯეტშიც.

სავალუტო ფონდის წარმომადგენელი 1 თვე იმუშავებს საგადასახადო სამსახურის ცენტრალური აპარატსა და რაიონულ რგოლებში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის სრულყოფის საკითხებზე. ამ ხნის განმავლობაში იგი ეწვევა ქუთაისს, რუსთავსა და სხვა რეგიონებს. გაეცნობა მათ საქმიანობას, პრაქტიკულ და თეორიულ დახმარებას აღმოუჩენს მათ.

პერსი კიერსტედი განსაკუთრებული აღშფოთებით შეხვდა თბილისში მომხდარ ტერორისტულ აქტს, რომელიც ჯერ კიდევ ამერიკის კონტინენტზე შეიტყო და აღნიშნა, რომ ტერორიზმს არა აქვს ნიადაგი და ეს ფაქტი ხელს არ შეუშლის სავალუტო ფონდის მიერ დასახული გეგმების შესრულებას.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის პრესცენტრი

ეურიკა!

# ფერმას პრობლემა ქართველმა მათემატიკოსმა გადაწყვიტა?

„თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის — პიერ დე ფერმას (1601-1665) ცნობილი პრობლემა, რომელსაც „ფერმას დიდი თეორემა" ეწოდება, ჯერ კიდევ 1993 წლის გაზაფხულზე გადავწყვიტე. პირველად მოხსენება 1995 წლის 31 მაისს, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, გავაკეთე. შემდეგ, 28 ივნისს იგივე მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში წავიკითხე, რაც დადასტურებულია ოქმით.

იმისთვის, რომ ინფორმაცია ამ აღმოჩენის შესახებ საერთაშორისო დონეზე გავრცელდეს, საჭიროა საავტორო უფლებებისა და რესპუბლიკის ინტერესების დამცავი მექანიზმის შემუშავება. ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის რამდენიმე საერთაშორისო პრემია არსებობს.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ინფორმაცია მიეწოდოს როგორც რესპუბლიკის მთავრობას, ასევე საზოგადოებას. ჩემი აზრით, სწორედ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ეს აღმოჩენა გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე. გამოვთქვამ იმედს, რომ მთავრობა სათანადო დაინტერესებას გამოიჩენს",

— ეს განცხადება ახალგაზრდა ქართველმა მათემატიკოსმა გურამ ფანჩვიძემ გააკეთა. იგი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაციისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია. მან 2 წლის წინ დიდი ფრანგი მათემატიკოსის — ფერმას თეორემის ოთხსაუკუნოვანი პრობლემა გადაწყვიტა. მას გულისყურით მოუსმინეს მეცნიერებათა აკადემიაში და დახმარებასაც დაჰპირდნენ, მაგრამ საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გატანა დღემდე ვერ მოხერხდა. თუმცა, ყოველი დღე ძვირფასია, რადგან აშშ-ში (და არა მხოლოდ იქ) ინტენსიურად მუშაობენ აღნიშნულ პრობლემაზე. ჩვენი ქვეყნისთვის კი, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ყოველ წარმატებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. იმედს გამოვთქვამთ, ახალგაზრდა მეცნიერის აღმოჩენას დროული და ჯეროვანი ყურადღება მიექცევა.

**ზაზა ფანჩულიძე**

მიხო მორჩილაძე

# როგორ წავაგე ომი...

*"Tu natus es non tibi, non mihi, sed patrial*
(„შენ დაბადებული ხარ არა შენთვის და არა ჩემთვის, არამედ მამულისთვის")

ციცერონი

(გაგრძელება)

იქვე მუხარიან პატარა (ცეცხლიც ენთო, მე ფაცხის ბოლოსკენ გავწიე ცოტულ ტახტიან, [illegible] აქ ფრონტისპირია, გვითხრა მამიკამ და ხელში მეორე ტყვია შემოხაზა, [illegible] არ გადახედოთ. მართლაც „იქით" მოწინააღმდეგის ტყვიამ გაჭრილი ტკაპ-ტკაპი. ნახევრადდანგრეული ფაცხა წუთით ხის ლარტყებისგან იყო [illegible]. [illegible]

[illegible]

[illegible] მე დამრჩა ეს ბოლომანძილი, წუხილიანი ხანა. [illegible] აქ ბევრგან მტერი წინიდანაც გვესროდა და ზურგიდანაც [illegible] ხან ჩვენთვის გაუგებარ ენაზე გვაგინებენ და დაგვცინიან... და რაც მთავარია, თუ მებრძოლებს ცეცხლი არ მოუკვდება, თუ არც რაიმე მოგვეცემა და არც ტყვიამფრქვევის ტყვიები... ხელყუმბარები გვინდა, ხელყუმბარები... [illegible] თუ ეს [illegible] არ შეხრჩენილა, ასეული ვეღარ გაუძლებს!.. ერთი ტანკი მაინც რომ მოგვცა, ან БТР მაინც...

გოგი ცაგარელმა რამდენჯერმე მოახერხა რაციით მოშენების გადაცემა. თავად კი ხანდახან [illegible] როდესაც ბიჭებს ნაღმსატყორცნიდან ნაღმი გაუჭედათ და ამ დროს ზურგიდან, [illegible] ხახლიდან დაგვცხეს, გოგი გიორგობიანი ავტომატი მოიხიჯა. რამდენიმე ჯერი მიაყარა. იმედიანი რომ დავბრუნდეთ, სახლის საქმეებს [illegible] და მოხალისედ უნდა წამოვიყვანოთ, — მეუბნება.

საკაცეები... გვამები...

ცოტა ხანში ისევ აგვიტეხეს სროლა. სომხების სახლებიდან გვესროდნენ. — არა, ძმებო, მე ეს უკვე მაბრაზებს!.. — თქვა ერთმა ჭროღათვალებიანმა მებრძოლმა, მხებარს რომ ეჭირა საკუთარ პერანგში, პერანგი გაიძრო და ავტომატი აიღო, მამაევმა ხელით კიდევ ორჩე აჩვენა, ესენი წაიყვანეო. ბიჭები სწრაფად მოეწყვნენ, ავტომატები, ხელყუმბარები აიღეს და ფაცხის უკანა კარიდან გავიდნენ, ზედა სახლებიდან სნაიპერების მოსახსნელად...

გამელებით გვესროდნენ, ჩვენები ცოტას პასუხობენ. არც ტყვია-წამალი აქვთ და არც თავის გამოაშკარავება უნდათ. აქ ახალბედები აღარ არიან. თავზე მეტია სულ აქ არიან თითქმის შეუცვლელად. ზეპირად იციან უკვე ყველა სახლი და მოსახლე. ყველა ბილიკი. იციან თუ საიდანაა უფრო სათუო მტრის გამოჩენა და შეტევა. ვიკითხე და მხოლოდ გაეცინათ ჩემს გულუბრყვილობაზე. აქეთ არც შაქარი მოუტანია ვინმეს, არც ის ამერიკული ხორცის კონსერვები, მე და ვანომ რომ ჩამოვიტანეთ. ხელყუმბარაც რამდენიმე დარჩათ. პოზიციაზე ვინც გადის, იმას მიაქვს, AKM-ის ტყვიებიც უჭირთ. თითო, ისიც ზოგჯერ არასრული მჭიდი თუ დარჩათ. — ან სულ კრეტინი ხელმძღვანელობა გვყავს, ან გაყიდულები ვართ!.. ერთი ძლიერი შეტევა და... — მეუბნება მამაევი სიმწრით. მტრის ტყვიების კორიანტელი ახლა ჩვენს ზემოთაა. ეტყობა ნახეს! ამბობენ ბიჭები, — ტყუილა არც ისინი ისვრიან...

მე გარეთ გავცეცდი. მართლაც!.. საშუალო ხნის ქალი და კაცი შემოიყვანეს ფაცხაში. კაცი აფხაზია, ცოლი სომეხი ჰყავს. როგორც მითხრეს, მათი შვილი ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის და შესაძლოა ახლაც სადღაც ახლომახლო დაძრწის. ამ კაცის სახლის სხვენიდან გვესროდა ვიღაც და ბიჭები რომ ასულან, სადღაც გამქრალა.

სახლიდან უნდა წავხვიდეთ" — ეუბნებიან რაჟის. ტანსაცმელს და ნივთებს ჩვენ გადაგიტანთ. ცოლი [illegible] წინააღმდეგია. — რა ვიცი, ვინ და საიდან გესროდათ, მე ერთი საწყალი გლეხი კაცი ვარ და აქედან არსადაც არ წავალო. ეტყობა, კარგად იცის ჩვენი მტრის კატეგორიული ბრძანება, მოსახლეობას ნუ შეაწუხებთო. ქალი წუწუნებს, — მშივრები ვართ, აღარც არაფერი დაგვრჩა სახლისა და ბოსტნის გარდა, რომ წავიდეთ, ვის მივანდოთო. ბიჭებმა, რაც ჰქონდათ, ყველაფერი გაუწილეს. პურიც, შეღებებული რძეც, კონსერვებიც მისცეს. კაცს ბოროტი გამოხედვა აქვს. მისი სახლიდან უცნობი ვერ გვესროდა. სიტყვა-პასუხზედაც ჩანს, რომ ტყუის. — თქვენი შვილი ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის!.. თქვენ კარგად იცით, როგორ ხოცავენ ბიჭვინთაში და გუდაუთაში ქართველებს... — ვეუბნები მე. ის თავს აქნევს უარყოფითად. — იცით, იცით! ვაგრძელებ ისევ. უარზეა... ქართველები კაცთმოყვარეები ვართ. ეს გზღუდავს... მაგრამ, თუ დღეს ოთხ საათამდე კიდევ აქ იქნებით, იმ სნაიპერთან ერთად თქვენც დაიხვრიტებით-მეთქი. ქალმა ტირილი დაიწყო. რაჟიფ გაჯავრებული მიყურებს. მერე რაღაცას ეუბნება აფხაზურად ცოლს და რუსულად მპასუხობს: — მშობლები შვილის გამო პასუხს არ აგებენო!..

დასახუქრებული ცეკუტანიები რომ გაიყვანეს, მამაევი მომიყვა: — დილით ერთი კახელი მებრძოლი დაატყვევეს ბიჭებმა. იმას შტაბში უთქვამს, ამ ღამით შეტევა იქნებაო. აქ კი არც რაცია გვაქვს, არც ტელეფონი, ავტომატის ტყვიებიც გვაკლია, შტაბში რომ დაბრუნდები, იქნება რამეთი დაგვეხმარეთ.

მე, გოგი და მეორე გოგი ბიჭებს დავემშვიდობეთ და ჩვენი „ტაქსისაკენ" გავეშურეთ. ფაცხიდან БМП-მ პირველ პიკეტზე აგვიყვანა. აქ გადმოვედით მანქანიდან და ისევ დაგვცხეს.

პიკეტი ბეტონის რამდენიმე ფილა, გზის საპალ ნაწილზე დაწყობილი. არც სანგრებია სადმე, არცა თუ ჩოტი თუ ზოტი. სროლისას ამ ფილებს ეფარებიან ბიჭები. აქვე ერთი ნაღმსატყორცნი დაყუდებულა. ჩვენი БМП-ს მოსვლას თუ უცდიდნენ. მოვედით, დაიწყო კიდეც. БМП-ს ჯავშანზე და ბეტონის ფილებზე სეტყვასავით რაკარუკობს ტყვია. ერთი კი ვიფიქრე, ამ ჩვენს კარგ სამიზნედ მდგარ БМП-ს ნეტა არაფერი მოხვდეს-მეთქი და თითქოს გულთმისნებმა არიანო, ჩვენგან სულ ზოგ საახლოვეზე პატარა ჭურვმა მიწის ნაფლეთები ააჭრიალა. ავიჭერს, ძალზე გვიჭირს შეტევის მოგერიება. მე საფარიდან ერთ მებრძოლთან ერთად ნაღმსატყორცნის ჭურვების ყუთი გამოვათრიე. ის ჩაუშვებს ჭურვს მილში და ჩაჯდება, თავადა ყურებზე ხელებაფარებული. ვჯდები მეც, ასევე ვიფარებ ყურებზე ხელებს. სულ სამი მებრძოლი დაგვხვდა პიკეტზე. ჩვენც შემთხვევით დავემატეთ. ესაა სულ გაგრის წინა ხაზის მთელი დაცვა. აი, კიდევ ერთხელ ჩაეშვა ჭურვი ნაღმსატყორცნში. ჩავუჯდეთ ჩვენც ყურებზე ხელებაფარებულები, მაგრამ რაღაც უსაშველოდ გაიწელა ეს წამები. მერე ვხვდებით, ნაღმსატყორცნის ლულა გაიჭედა!.. ჩხაკ, ჩხაკ!.. გაისმის უეცრივ რაღაც საშინელების მომასწავებელ სიჩუმეში. ეს გოგი ცაგარელი იღებს. ამ დროს სიმინდის ტაროს მსგავსმა გადაგვიქროლა თავზე და ჩვენგან ოციოდ ნაბიჯში აფეთქდა... — გადავრჩით... ჩვენი БМП გზისპირში ჩაძვრა და იქიდან პასუხობს. მოკლედ, აქაური, ჩვენებური ომის ჩვეულებრივი დღეა და მეტი არაფერი. ნელ-ნელა წყნარდება კენჭების რაკარუკივით ხმა ბეტონის ფილებსა და БМП-ზე. შეტევა მოგერიებულია. ჩაწყნარდა ყველაფერი და ორი ქალის სილუეტი გამოჩნდა. ჩვენსკენ მორბიან. ბიჭებმა ტყვიები აღარ დაზოგეს და მტერს თავი არააწევინეს, რომ ქალებს გამოსვლა მოესწროთ. იქიდანაც გვესვრიან, უფრო ნაღმსატყორცნიდან. ჭურვი ხან გზის იქით სამოც, ოთხმოც მეტრში ჩავარდება, ხანაც აქეთ. ვერა და ვერ დაგვიმიზნეს კარგად. როგორც იქნა, ქალები მოგვაღწიეს. ბეტონის ფილებს აქეთ შემოიხიზნეს. ახალგაზრდა მაღალია, საცრისოდენა თვალებს თითქმის არ ახამხამებს, ხნიერი უფრო დაბალი და ჩასუქებული. ორი ჩვენი მებრძოლი გაჭედილ ნაღმსატყორცნს უკირკიტებს... „ტაყას" ხსნიან. მე რაღაც სისულელეებს ვეკითხები ლტოლვილ ქალებს და ნაცნობებს ვკითხულობ. სწრაფად მპასუხობენ. იცნობენ, ყველას იცნობენ. მაგრამ ბევრი აღარაა. — მოკლეს... — მეუბნებიან უფრო ხშირად. ყოველგვარი აღელვებისა და თითქმის დანანების გარეშეც. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. — იქაა. — ამბობენ სხვაზე. — გარეთაა, გაიქცნენ. მოასწრეს!.. — ხანდახან ასეც ამბობენ. ჩვენი საუბარი უინტერესო ხდება. არც მათ აინტერესებთ არაფერი. დაითი, ჩვენი БМП-ს მძღოლი ეუბნება, რომ მანქანით გაიყვანს, რომ აქეთ საშიში აღარაა. ორივე თავს უქნევს. უფრო ზრდილობისთვის. ბიჭებს საჭმელი მოაქვთ. ყველა ვცდილობთ, რაღაცნაირად თანავუდგეთ, ვანუგეშოთ.

— მე „გრანატები" მინდა, ა — ამბობს უფრო ახალგაზრდა და პირველად უჩნდება რაღაც ინტერესი ხმაში.

— ვაი, შე უბედური, უბედური!.. ეს რას უყურა შენმა თვალებმა!.. — მოთქვამს ხნიერი ქალი და ბეჭზე ხელს ადებს ახალგაზრდას. — გამაგრდი!.. უნდა გამაგრდე! მეტი გზა აღარა გაქვს!.. — მოთქვამს ისევ და ახალგაზრდას ეფერება.

— „გრანატები" მჭირდება! — ამბობს ის ჯიუტად. БМП მზადაა. უკანა კარს უღებენ ქალებს. ხნიერი ვიშვიშით შედის მანქანაში და კუთხეში იკუნჭება მოთქმით. ახალგაზრდა კვლავ ჯიუტად იმეორებს:

— მე „გრანატები" მინდა!..

— რისთვის? — ასეთ იდიოტურ კითხვას, ალბათ, მარტო მე თუ დავსვამდი. ჩემთან ერთად ის მებრძოლიცაა, ჭურვების ყუთს რომ მოვათრევდით ამ რამდენიმე წუთის წინ ერთად. ქალი გამომცდელად გვიყურებს. — ამასთან შეიძლება? — მეკითხება და მებრძოლზე მანიშნებს. — ჩვენია, — ვპასუხობ. ჭკუანაკლულთან რომ საუბრობენ, ისე. ხანდახან ხდება, რაღაც სხვა კაცის გამომეტყველებას, მის ხასიათს რომ იჩემებ და მერე გიძნელდება ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ჩემს თავზე ვბრაზდები. მაგრამ ვერც სხვანაირი სიტყვები მოვნახავს. ქალი უფრო მეტი ინტერესით მიყურებს. — შენ ნამდვილად უფროსი ხარ! — მეუბნება რაღაც დიდი იმედით, და მერე თითქოს ჩურჩულით ამატებს, — მე უნდა დავბრუნდე!.. — ამ სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს. — და „გრანატები" უნდა მომცე!.. იმხელა იმედი, იმხელა მუდარაა მის სიტყვებში, რომ არ ვიცი, რატომ, მაინც უკვე ყველაფერზე თანახმა ვარ.

არა გჯერა? — მეკითხება გამომცდელად. — ჩვენ მიწის პატარა თხრილში ვსხედვართ, ბეტონის ფილას ამოფარებულები. — ნახე! — ამბობს და უეცრად სწრაფად იწევს კაბას მუხლებიდან.

ხორბლისფერ კანზე მრავალი ჩალურჯება და სიგარეტების მოწვის კვალი ატყვია. — ქალბატონო, არაა საჭირო!.. — ვეუბნები, ვემუდარები. კაბის კალთას ისევ ქვემოთ ვუწევ.

— შენ ვერაფერი გაიგე!.. — დამარცვლით, როგორც პატარა ბავშვს, სინანულით მეუბნება ქალი, — ეს, რაც ნახე, არაფერია! გესმის, არაფერი!.. და ჩემს ტრაფარეტულ სიტყვებს, რომ ომში მამაკაცებმა უნდა იომონ, რომ მან უნდა დაივიწყოს, რაც შეემთხვა, გულგრილად, ერთი ხელის აქნევით მაწყვეტინებს. მერე მოყოლას იწყებს. გვიყვება, როგორ ჩუმად და წყნარად მიადგნენ გადამთიელები მათ სახლს, როგორ შევიდნენ, როგორ დაჯდნენ. პირველად რა თქვეს. მერე ისიც თავისავე დასაბმელი თოკი როგორ მოატანინეს. მერე როგორ შეუკრეს ქმარს ხელ-ფეხი, როგორ შეკრეს თავად და როგორ აყურებინეს, მათ რვა წლის გოგონასა და ათი წლის ბიჭუნას რასაც უკეთებდნენ... როდესაც ბავშვები წამებით დაიხოცნენ, მერე ქალი კაცს დააკრეს ზემოდან და ნელ-ნელ ნაჭერ-ნაჭერ გამოუქნეს ქარი...



ქალს ითხი ხელყუმბარა შევაბით. ისე მოვაწყვეთ, რომ კაბის ზონრის ერთი მოქაჩვით, ოთხავეს ლამცველი ბეჭდები მოსძვრება. ქალი კმაყოფილია. მეჩვენება თუ მართლა?.. მგონი, გაიღიმის კიდეც.

მერე ისევ სროლა. ისევ მოზუზუნებს, მოსტვენს, მოფეთქავს ცეცხლი. ქალი კი აღარაა. ქალი გაქრა. მის არსებობას მხოლოდ БМП-ში საცოდავად მიყუჟული ხნიერი ქალი ამტკიცებს, რომელიც გამწარებით ტირის.

გაჩერებული ბრძოლისას, რომელშიც ჩვენი აქ მოყვანი БМП-ც მონაწილეობდა, გაგრიდან ოთხი ГАЗ-21-ით მხედრიონელი ვაჟა ქრისტესაშვილი მოგვადგა. ბიჭებს ტყვია-წამალი მოუტანა... გადავკოცნეთ ერთმანეთი. ძალზე გამახარდა და გამიკვირდა კიდეც მისი გამოჩენა. ამ გაჩერებულ ბრძოლაში მხუბუქ მანქანით უვნებლად ჩვენამდე რომ მოაღწია. გოგი ცაგარელმა აქაც გადაიღო ნაღდი ბრძოლის კადრები. მე ფრონტზე ხშირად მინახავს ტელე და ფოტოკორესპონდენტები, „ვითომ-ვითომ ომს" რომ იღებენ, ლაქებიანებენ მებრძოლებს ავტომატების და აჩხაკუნებენ აპარატებს. ეს სიყალბე ძალზე კარგად ჩანს ეკრანზე, უფრო იშვიათად ფოტოზე, მაგრამ დაკვირვებული თვალი სიყალბეს იქაც სწრაფად მონახავს.

სადაც კი შევესწარი, გოგის ამგვარი რამ არ უკადრებია, პირიქით! ამის გამო ძალიან პატივსა ვცემ, როგორც პროფესიონალს.

შტაბში ვაჟას მანქანით დავბრუნდით. მარინაშვილს ყველაფერი ვუთხარი. მან მაშინვე ერთ ოფიცერს დაუძახა. კაბინეტის გვერდითა კარიდან პატარა ოთახში შეგვიყვანა და მამაევის ბიჭებისთვის ერთი ცინკი AKM-ის ტყვიები, ათ-ათი ხელყუმბარა და რაცია გაატანა... მის კაბინეტში ვიღაცა დავინახეთ, როგორ ჯდებოდა შტაბის წინ შეულმფრენი და სწრაფად გავწიეთ მისკენ.

მებრძოლებმა შეულმფრენის უკანა კარი გააღეს და სწრაფად ჩამოზიდეს ტვირთი. ანატოლი მამაევიც მოსულიყო. ვუთხარი, შენთან ტყვია-წამალი წამოვიდა, ახლა თბილისში მივდივარ, იქიდან უფრო მეტს დაგეხმარები-მეთქი. მადლობა გადამიხადა და მთხოვა, რომ მიხეილ გამკაძის მშობლებისთვის მეთქვა, რომ მისი გმირულად დაიღუპა. მომიყვა კიდეც, როგორ. მერე მოკლული მებრძოლები სათითაოდ შევიტანეთ შვეულმფრენის სალონში. მერე დაჭრილები ავიტანეთ ხელით, საკაცეებით სულ ორი დაჭრილი მოიყვანეს. დაჭრილებს გაგრის ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექთანი ლილი ხუხუა მოჰყვა. შვეულმფრენში დასისხლიანებული ლეიბები შემოყარეს და ზედ გვერდიგვერდ მიაწვინეს დაჭრილ-მოკლულები. — არც საკაცეები გვაქვს, არც ზეწრებიო, — მითხრა ქალბატონმა ლილიმ, როდესაც ვთხოვე, რომ რითიმე გაგვეცალკევებინა დაჭრილები და მოკლულები. მერე იქვე ერთ მოსახლესთან შევედით და ოთხი ზეწარი გამოვართვით. სამი ზეწარი მიცვალებულებს გადავაფარეთ. ერთით კი შვეულმფრენის სალონი გავყავით. მერე კიდევ მოვიდა ერთი მანქანა, ისიც ლახუნდლული იყო დაჭრილებით. მათ შორის ჩიხლაძე მოჰყვათ. მე და შორთაზე არკადი მარკოზიასგან ვიცნობდით ერთმანეთს და ვმეგობრობდით კიდეც. მისმა დასისხლიანებულმა პერანგმა შემაშფოთა. — არაფერია, — მითხრა სიცილით, — დაჭრილების გადმოყვანის დროს მომეცხო. ნახევრადსერიოზულად, ნახევრადხუმრობით გულზე დაკიდებული ავგაროზიც მაჩვენა. — ცოლის ნაჩუქარია, სანამ მექნება, ტყვია ვერ გამეკარებაო. — თუ ასეა, მეც მაქვს შენთვის საჩუქარი-მეთქი, ვუთხარი და ხელყუმბარა „ф-1" ამოვიღე ქამარზე დაკიდებული ბუდიდან. დეტონატორი მოვიხრაჩნე, მერე ისევ ამოვიღე და ასე ცალ-ცალკე გადავეცი. ძალზე გაიხარა... ცოლ-შვილთან რას დამაბარებ-მეთქი? — ვკითხე, ისე ვიყავი დარწმუნებული, რომ გაჩიზნული ჰყავდა. და არ მესიამოვნა, როდესაც მიპასუხა, — სადაც მე, იქაც ჩემი ოჯახიო. შენ რამე ახალი ხომ არ იცი, გაგრას ხომ არ აბარებენო, მკითხა შეშფოთებით. — ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, — ჩემს მაგივრად უპასუხა მკერდში დაჭრილმა მეომარმა. მეც ასევე ვუთხარი, მაგრამ მაინც რაღაც უსაშველო ნაღველი მომაწვა, მერთაზს რომ ველაპარაკებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, მომაკვდავის ოჯახში, საყოფაცხოვრებო პატარა გასაჭირზე რომ ლაპარაკობენ გატაცებით, განგებ ცდილობენ მოახლოებულ უბედურებაზე ფიქრი ოდნავ მაინც გადაივიწყონ. ერთი რამ კი მომეწონა, მამაევი თავისი ბიჭებით და ვაჟა ქრისტესაშვილი ბოლომდე არ მოსცილებიან შვეულმფრენს. და მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი სოხუმში გაფრენის მსურველი, დაჭრილების გარდა არავინ ამოუშვიათ სალონში. უკანასკნელი დაჭრილი, დევივით უზარმაზარი ბიჭი, სახელად დათო, საკაცით ატანეს შვეულმფრენში და დავიძარით.

მფრინავების ეს ეკიპაჟი თუშეთიდანაა. მეთაური აბელოთიძე დათო, მეორე მფრინავი ითურიძე სოსო და ბაკურიძე ზურა. ესენი სამაჩაბლოდან მახსოვს ცხინვალში და მეღვრეკისში, ქერთაში და, საერთოდ, ყველა ცხელ წერტილში ფრენდნენ. ომის დაწყებიდან აქ არიან. დღეს უკვე მეოთხე რეისი იყო.

ავიწიეთ და მაშინვე ზღვაზე აღმოვჩნდით. აფხაზები მაინც გვესვრიან. უეცრად გამაცია და სუნთქვა შემეკრა. ეს წამია, გვერდზე რუსეთის სამხედრო ვერტმფრენმა ჩაგვიქროლა.

ავლაბარში რომ იომდნენ, ისეთმა „კრაკადილმა" არ გაგვწირა და არ გვესროლა. შეიძლება წითელი ჯვრის გამო. უფრო სწორად, კი დღეს სხვა დავალება ჰქონდათ, გუდაუთაში მყოფი რუსი სამხედროები პროფესიონალები არიან. ისვრიან და კლავენ არა სურვილის, არამედ ბრძანების მიხედვით... ერთი თბური რაკეტა რომ გამოეშვა ჩვენსკენ... ამბის წამღებიც კი არავინ დაგვრჩებოდა...

სოხუმის აეროპორტში ძალზე რბილად დავჯექით. შვეულმფრენის უკანა კარი გავაღეთ და ჯერ დაჭრილები ჩამოვიყვანეთ, მერე გარდაცვლილები ჩამოვიტანეთ. მერე იქვე შვეულმფრენის ჩრდილში ჩავიმუხლე და ჩემი უბის წიგნაკი ამოვიღე. უამრავი საქმე დამიგროვდა. ჯერ დაღუპულები ჭარისუფლამდე უნდა მივიტანე... იქიდან თბილისში გავგზავნო, ცოცხალი რომ ვარ. მერე ქალბატონი მერი მოვნახო, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი, საკაცეები და ზეწრები გავაგზავნინო გაგრაში... ვინიშნავ ეტლიებსაც. ზ უნიშნა ეტლინებს სასწრაფოდ გამოჭრევინო რომელიმე მექანიკურ ქარხანას, ჩვეულებრივი სპილენძის ან ალუმინისა, რომელზედაც მეომრის დაშიფრული ნომერი და მისი სისხლის ჯგუფი აღინიშნება. ახლავე, პირველივე შვეულმფრენით მამაევის ბიჭებს ორი ცინკი AKM-ის ტყვიები კიდევ დამატებით გაუგზავნო. აქვე, ვერტმფრენების სადგომიან აღმართული ჯიმი მაისურაძის პალატასთან თვალი მოვკარი, ტყვია-წამლის რამდენიმე ათეული ყუთი იდო. ნიკო თათარაშვილს ვეტყვი. არ დამიჭირს. შეიძლება თავადაც ჩაუტანოს...

ამ ყველაფერს ვიწერ და სულ ერთსა და იმავე რამეს ვფიქრობ. მაინც რატომ არ გვესროლა რუსების „კრაკადილმა"? რატომ? რატომ?

16.09.92. სოხუმი. შუადღე

ომში დრო ხან უსაშველოდ იწელება, ხანაც საათის ბუშტივით სკდება და წვეთივით ქრება. ახლა სარემონტო შვეულმფრენის ჩრდილში ვსხედვართ. გაგრიდან ჩამოყვანილი ოთხი მიცვალებული აქვე დავასვენეთ. დაჭრილები სოხუმის საავადმყოფოში წაიყვანეს. ერთი მოკლულის ძმა მოჰყვება, ისიც ჩვენი მებრძოლი. ჩუმად ზლუქუნებს, ტირის თითქმის გაუთავებლად. ჩემთვის ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც მოკლულის ცოლ და ძმა მოჰყვება... გოგი გიორგობიანი აეროპორტში გაიდა, გოგი ცაგარელი მუშაობს. იღებს ყველაფერს, რაც საინტერესოდ ეჩვენება. შვეულმფრენს, რომლის ქვეშაც ჩვენ მზეს ვეფარებით, ოცდაათზე მეტი ნატყვიარი დაუთვალეს. მაინც ძალზე საზიზღარი გრძნობაა ამ ყველაფრისგან დაუცველი „კალიით" მტრის „კრაკადილთან" შეხვედრა. გულზე სკდები, რომ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. მიწაზე ყოფნა სულ სხვაა. აქ შენ თავად ხარ შენი თავის უფალი. გინდა შებრძოლები, გინდა დაიმალები, გინდა... აქ კი ჰაერში, საკუთარი უმწეობისა და უსუსურობის საშინელი გრძნობა გახრჩობს...

მაინც რატომ არ გვესროლა?.. ახლა იმასაც ვფიქრობ, ღმერთო, მაპატიე და აქ რამე მოლაპარაკება ხომ არ იყო?.. ხომ არაა ასე, რომ ამას და ამას შეგიძლია ესროლო, ამას კი, არა?..

ნუთუ ჩემისთანა ჭკუა აღარავის აღმოაჩნდა, რომ თოხილდე ჰუბიცა დაედგა და ბიჭვინთის ყურე და მიუსერიდან ბიჭვინთისკენ მიმავალი გზა გადაეკეტა?.. უტყვია-წამლოდ დარჩენილი ბიჭვინთა ხომ მეორე დღესვე ჩაგვბარდებოდა?.. ანდა თუნდაც, გაგრელი ბიჭებისთვის ელემენტარული სამხედრო წვრთნა ჩაეტარებინათ?..

თუ ომია, რატომ არ გვიშვებენ ბიჭვინთისკენ?.. ომის მთელი ინიციატივა აფხაზებს მივეცით! რატომ? რატომ?..

რატომ არ შეიძლება, სადივერსიო პატარა ჯგუფებით გუდაუთის რაიონში შესვლა?.. მე ამას სამხედროების წრეში რომ ვამბობ, უკეთეს შემთხვევაში, სიტყვას ბანზე მიგდებენ. არ შეუძლიათ, არ უნდათ, თუ უფლება არა აქვთ?..

სახელმწიფო, ცხოვრების სამხედრო წესზე მაშინ გადავა, ყველაფერს რომ დავკარგავთ? აფხაზები სულ არღვევენ შეთანხმებებს. რატომ მივსდევთ მათ კუდში და რატომ ერთხელაც კი არ დავასწარით? ინიციატივას რატომ არ წავართმევთ? შენ დაარღვიე ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება? გაგრაში მთებიდან შემოიპარე? მეც საპასუხოდ გუდაუთაში შევალ და დედას გიტირებ!.. ხომ უნდა იგრძნონ, რომ ტკბილი მარტო ჩემთვის არ გაჩენილა ამ ქვეყანაზე? ისიც ხომ უცნაური კი არა, რაღაც გამაოგნებელია. ათი-თხუთმეტი ბიჭი სოხუმში მიფრინავს, ასობით კაცი კი ტურისტულ მოგზაურობაში მიბრძანდება!.. თუ ომია, ომი იყოს! გამოცხადდეს საყოველთაო მობილიზაცია და სამშობლოს დაცვას ახირება და უბრალო სურვილი არ ერქვას. მოვალეობა იყოს ყველასთვის განურჩევლად, ვინც ამ მიწის მადლით სარგებლობს... ან რატომ არ, ან ვერაფრით ვერ შეიქმნა მოხალისეების ერთი ნორმალური გადასამზადებელი ბანაკი?..

აეროპორტში ცხელა. თბილისისკენ იგივე ფრინავს გულოდები და როგორც ვთქვი, მოულოდნელობის ათასი ეჭვი და კითხვა „რატომ?"!?" მტრიალებს თავში...

მოხალისეებით ომს ვერ მოვიგებთ! ეს უკვე ცხადზე უცხადესია არა მარტო ჩემთვის. თუ საერთო მობილიზაცია ვერ ცხადდება, ხომ შეიძლება ჯარგავლილი ბიჭებისთვის საყილტრაციო-გადასამზადებელი ბანაკები ამოქმედდეს? ასევე ახალწვეულთათვის — ახალგაზრდა ჯარისკაცის ორთვიანი კურსები. კარგი მეთაურების ხელში ეს ბიჭები სწრაფად აჯობებენ ნებისმიერ „გამოცდილ", ნახიშტარ თუ ნაცოდვილარ ხალხს, ვისი უმეტესობაც კრიმინოგენული წარსულისაა და ომში სარჩოს ეძებს. ქურდობს, ყაჩაღობს... ისინი ომში ნადავლისთვის მიდიან უფრო...

დასასრული იქნება

№137-138-139-141-142-143-145-154

გაზეთი
კავკასიონი
# საუწყებო ფურცელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შუამავლობა. ყიდვა. გაყიდვა. გაცვლა. გაქირავება!
## სახლები... მაღაზიები... ოფისები... საელჩოები...

**იყიდება**

**ოფისები**

რუსთაველზე
საუკეთესო
ოფისი
ფასი 100 000-ზე მეტი

საელჩოსთვის...
წარმომადგენლობისთვის...
შენობა,
დამოუკიდებელი!
ფასი — მაღალი.

იყიდება ჭავჭავაძის გამზირზე
მაღაზია..? ოფისი..?
დღეს საღამოს — 35 000 დოლარია,
ხვალ დილით — იქნება 70 000 დოლარი

იყიდება ნაღდ ქალაქში
სოლოლაკში
«ივერთბანკთან»
დიდი, დიდი, დიდი.
7 ოთახიანი ბინა (240 მ2).
ფასი $59000.
(მანსარდის პერსპექტივით, სარემონტო)
გირჩევთ შეიძინოთ!

იყიდება
ვაკეში
ფალიაშვილზე
4-ოთახიანი ბინა
(უცხოურგებელი, ახალი რემონტით...)
ფასი 80 000 დოლარი
რადგან გარემონტებულია, ამიტომ ეს
ბინა უიშვიათესია, ურეალურესია!

საბურთალოზე
ანაგის ქუჩაზე 4-ოთახიანი ბინა, 200 კვ.მ.
მაღალჭერიანი
ფასი 55 000 დოლარი

იყიდება საბურთალოზე
2 + 1
ჭერი 3,10
რემონტით
ფასი 33 000 დოლარი

იყიდება
მრგვალ ბაღთან
3-ოთახიანი (სარემონტო)
ფასი 39 000 დოლარი
ხოგს ურემონტო ურჩევნია!
... და ეს ძალიან კარგი ბინაა!!!
გირჩევთ შეიძინოთ

მოგვმართეთ
მისამართზე
ჭავჭავაძის
გამზირიდან
გალაკტიონის
ძეგლის
პირდაპირ
«წყალპროექტში»
მეორე
სართული
ტელ: 22-12-57
23-33-09, 22-70-94

უცხოელი მყიდველი ეძებს
ვაკეში
ვერაზე
დიდ სახლს ან ბინას.
ფასი ნებისმიერი

**ვიყიდი**

კარგ
ოფისს!
ოფისს! ოფისს!...

---

კომპიუტერის

შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას"
თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ინფორმატიკის საფუძვლების შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან VI-XI კლასის მოსწავლეები.
განცხადებები მიიღება 9 სექტემბრამდე.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
ი. ჭავჭავაძის I ჩიხი №37 ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია, ჩოგბურთის კორტებთან. ტ. 29-48-60, 29-48-61.

---

9-10 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში, გაიმართება
საქართველოს
ახალგაზრდული პარლამენტის
დამფუძნებელი ყრილობა.
დელეგატების რეგისტრაცია —
9-დან 10 საათამდე.

---

«თბილქალაქპროექტთან» არსებული
**სამხატვრო სტუდია**
აცხადებს 6-15 წლამდე მოზარდების მიღებას.
შეისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია.
ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24 „თბილქალაქპროექტის" შენობა, მეტრო „მარჯანიშვილის" თავზე. მაღლივი კორპუსი მე-5 სართული, ოთახი № 36. ტელ.: 95-35-76.
ყოველდღე 11-დან 17 სთ-მდე. შაბათ-კვირის გარდა.

---

ყოველდღიური გაზეთი
«კავკასიონი»
იღებს შეკვეთებს
სამგლოვიარო განცხადებების
გამოქვეყნებაზე
მოგვმართეთ: პეტრიაშვილის ქუჩა №7
ტელეფონი: 29-48-05

---

გაზეთი
**კავკასიონი**
სარეკლამო სააგენტო

**გთავაზობთ: ფირმების, ორგანიზაციების და პროდუქციის რეკლამირებას.**
რეკლამების დამზადებას და განთავსებას გაზეთებში და ჟურნალებში.
**სარეკლამო კამპანიის ჩატარებას**
პრესის, ტელევიზიის და რადიოს მეშვეობით.
ფერადი სარეკლამო ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვებას.
სარეკლამო ფარების დამზადებას და განთავსებას ქალაქში.
მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 7. ტელ.: 29-48-05

---

ქ.თბილისში, ვაზისუბანში.
**გაიხსნა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების გიმნაზია.**
ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლასთან ერთად მოსწავლეები შეისწავლიან სხვა უცხო ენას (გერმანული, რუსული) გიმნაზიაში სწავლის ხანგრძლივობაა 11 წელი. IX-XI კლასებში მოსწავლის უნარისა და სურვილის მიხედვით ხდება დიფერენცირებული სწავლება – ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო პროფილით. სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და გამოცდილი, მაღალი პროფესიული დონის პედაგოგები.
1995-1996 სასწავლო წელს გიმნაზია აცხადებს მიღებას I-IX კლასების ჩათვლით. სწავლა ფასიანია.
დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ: ვაზისუბნის I მ/რაიონი, 168-ე ბაღის შენობაში, 10-დან 14 საათამდე.

---

**საქართველოს საზღვაო ბანკი**

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517, გოგებაშვილის №60
ტ.: 7-60-01, 2-00-50, ფაქსი: 873 1405477
ტელექსი 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili, Batumi 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 7-60-01, Fax: (873) 1405477, Telex: 412616

**GEORGIAN MARITIME BANK**

# საუწყებო ფურცელი

გაზეთი [illegible]

[illegible]

**ვაგრძელებთ კერძო განცხადებების უფასოდ განთავსებას. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58**



## ვყიდი

■ **ან ვცვლი 3 ოთახიან ექსპერიმენტული პროექტის4 ბინას ზემო ფონიჭალიდან მეტროსადგურის ნებისმიერ სადგურთან ერთოთახიან ბინაზე (გაცვლის შემთხვევაში) ტელ.: 93-18-84 ან 93-31-81 იკითხეთ ციალა**

■ 3-ოთახიან ბინას პირველ სართულზე ორმხრივი მიშენებით, გოგირდის წყლით, საკარაჟე ადგილით, ტელეფონით, ბინიდან ჩასასვლელით 2 სარდაფით,ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ბინა სარემონტოა. ჭერი 2,60.

■ ვაკეში, მაღალ ბელეტაჟზე, პირველი სართულის სიმაღლე 2,40, მეორე სართულის — 3,40. ზემოთ არის 3 ოთახი. ეზო 40 კვ.მ. ბინას აქვს ლია, გადახურული ვერანდა.

■ 2-ოთახიან ბინას საბურთალოს ქუჩაზე, „ხრუშჩოვკა", ჭერი 2,60, ქუჩიდან თითქმის მეორე სართული, რკინის კარებით, რკინის გისოსებით, ცხელი გოგირდის წყლით.

■ ვერაზე 4-ოთახიან სუფთა ბინას 2 ბუხრის სამ სართულიანი სახლის მეორე სართულზე.

■ დიდ დიღომში 3-ოთახიან ბინას მე-11 სართულზე, 120 კვ.მ. ფართით, მეორე მიკრორაიონი.

■ ბახტრიონის ქუჩაზე 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას მე-6 სართულზე, საერთო ფართი 120 კვ.მ.

■ 17 კვ.მ. ოთახს ლოჯიით და სათავსოებით კუმისის ქუჩაზე. ფასი 2000 დოლარი. ტელ.: 96-28-94.

■ ნაძალადევის რაიონში კერძო ბინას, ბელეტაჟზე, 5 ოთახი, ხეივნით, თევზების აუზით, 100 კვ.მ. ეზოთი.

■ 2-სართულიან სახლს ძალიან კარგი რემონტით ნაძალადევის რაიონში.

■ იაფად საკუთარ სახლს პატარა ეზოთი ვაკეში.

■ ვერაზე მე-2 სართულზე 4-ოთახიან ბინას, გარემონტებული კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, ჭერი 3,40.

■ 3-ოთახიან ბინას დიდუბის მეტროსთან მე-6 სართულზე, ჭერი 2,60;5-6 წლის რემონტით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ცხელი წყლით.

■ 3-სართულიან კერძო სახლს პირველ-მესამე სართულზე, საერთო ფართი 125 კვ.მ. ბინა კარგად გარემონტებულია, კაპიტალური გარაჟით, 600 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი.

■ ორსართულიან სახლს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში 2000 კვ.მ. ეზოთი და ცალკე 2000 კვ.მ. ნაკვეთით. საწყისი ფასი 6000 დოლარი.

ტელ.: 99-32-85

■ ოთხნახევრიან კუთხის ბინას ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. ფასი 12 000 დოლარი. ტელ.: 29-23-94.

■ **ორსართულიან, პატარა სახლს ნაძალადევში, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ.: 66-18-56, იკითხეთ მაია ან დათო.**

■ მცხეთის ქუჩაზე, მაღალ ბელეტაჟზე ოთხოთახიან სარემონტო ბინას სარდაფით, დაშენების პერსპექტივით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-34-55.

■ გადასასვლელ ხიდთან, პრავდის ქუჩაზე კერძო სახლს (ერთ ეზოში ორი ბინა), სამ-სამი ოთახით, შესაძლოა გაიყიდოს ცალცალკე, სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-15-77.

■ ერთოთახიან, მაღალჭერიან ბინას ლოჯიით ვერაზე, ფილარმონიის წინ, იტალიურ ეზოში, მანსარდის დაშენების პერსპექტივით. ფასი 6000 დოლარი. ტელ.: 23-06-38.

■ წყნეთში ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთხნახევრიან, იზოლირებულ ბინას. სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტით, საგარაჟე, საბოსტნე, სასარდაფე ადგილებით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-86-55, 73-78-90.

■ 2-სართულიან აგარაკს ნიჩბისში. მცხეთიდან 10 კილომეტრი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 600 კვ.მ. ხეხილიანი ბაღი. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ დიდუბეში, მეტრო „წერეთლის" 2-ოთახი[illegible]

ან, მაღალჭერიან, კუთხის ბინას 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-02-31.

■ 5-ოთახიან (3+2) ჩეხური პროექტის ბინას რუსთავის შესასვლელში. მეორე სართულზე ტელეფონით, გარაჟით. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ გარემონტებულ კერძო სახლს, საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე სარდაფით, გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ ან ვცვლი ოზურგეთში, ქალაქის ცენტრში 2-სართულიან, კაპიტალურ სახლს 12X11. 600 კვ.მ. ეზოთი ოზურგეთის, ლანჩხუთის ან ჩოხატაურის რაიონის ნებისმიერ სოფელში 3-4-ოთახიან საცხოვრებელ სახლზე. საწყისი ფასი 9 ათასი დოლარი. ტელ.: 6-67-41 (იკითხეთ ლიზა), 6-51-19 (იკითხეთ ჟიშერი), 37-00-74 (იკითხეთ ანზორი ან სვეტა).

■ სასწრაფოდ კერძო სახლს ბელეტაჟზე, ბაგებში ეზოთი და ბაღით (ყველანაირი ხეხილით). საწყისი ფასი 11 000 დოლარი. მისამართი: ბაგები, იმედაძის 4 (სკოლასთან). ტელ.: 68-61-74.

■ კერძო სახლს ეზოთი და სათავსოებით სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქუჩაზე №19-ა-ში (ბავშვთა საავადმყოფოს პირდაპირ). ტელ.: 36-17-03, იკითხეთ სულიკო (ნებისმიერ დროს).

■ ოროთახიან, იზოლირებულ ბინას დიდი ლოჯიით, მეტრო „მარჯანიშვილთან" ახლოს მაღალი ჭერით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. აქვს გაფართოების პერსპექტივა. ბინის საერთო ფართია 100 კვ.მეტრი. ფასი 15 000 დოლარი. ტელ.: 96-90-26, იკითხეთ ნინო.

■ ბინას ყაზბეგის ქუჩაზე (ყოფილი პავლოვის) 2-ა, 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. საერთო ფართი 140 კვ.მ. ჭერი 3 მ. საწყისი ფასი 20 000 დოლარი. ტელ.: 38-81-08 (დილას ან ღამე).

■ ქ.რუსთავში, ლეონიძის 6 ნომერში, ოროთახიან გარემონტებულ ბინას, ფართი 32,5 კვ.მ. ლოჯიით და ორი აივნით და ერთოთახიან გაურემონტებელ ბინას 17,5 კვ.მ. ფართით, ერთი აივნით, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ადვილი შესაძლებელია გაერთიანება. მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-5 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 39, კობახიძე ოთარი. ფასი შეთანხმებით.

■ 2-ოთახიან იზოლირებულ, მაღალჭერიან ბინას (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ლოჯიით, აივნით, დამატებითი სათავსოებით, ტელეფონით, ბარნოვის ქუჩაზე ხიდთან. ეზოდან პირველი სართული, ქუჩიდან — მესამე. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 22-08-11.

■ აგარაკს დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში (ჟინვალთან ახლოს). სამსართულიანი კაპიტალური შენობა, ცენტრალური გათბობით, 2000 კვ.მ. ხეხილის ბაღით, წყაროთი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ხოშარაულის 29 (დიდუბე). ტელ.: 34-67-98 (საღამოს საათებში).

■ **გაგარინის ქუჩაზე მშენებარე 3-ოთახიან ბინას, საერთო ფართი 100 კვ.მ. მე-5 სართული, ორი აივნით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**

■ საგურამოში ახალანი 2 სართულიან სახლს მანსარდით 1500 დოლარი. ტელ.: 39-16-61.

■ ან ვცვლი აგარაკს ნაფეტვრებში. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით, გარაჟით. 1-ოთახიან ბინაზე თბილისში. 30-23-02 ან 39-87-92.

■ 3-ოთახიან ბინას წერეთელზე გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე 8-სართულიანის მერვე სართულზე. 13000 დოლარი.

■ საკუთარი სახლი ღრმაღელეს მეტროსთან.

■ ერთ ოთახს შუშაბანდით კუმისის ქუჩაზე. ტელ. 96-28-94.

■ ვაქირავებ 1 ოთახს შუშაბანდით საოჯახო ნივთებით. ტელ. 96-28-92.

■ კარგად გარემონტებულ 3-ოთახიან ბინას ჭავჭავაძის ქუჩაზე (კალინინი) პატარა მანსარდით ყველა მხრიდან რკინის კარებებით და რკინის ჟალუზებით, „კალონკით".

■ 1,5 გარემონტებული ბინა, რკინის კარებით, ტელეფონით. დიღმის მასივში გარაჟითაც და უგარაჟოდაც. მეცამეტე სართული.

■ იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა ტელეფონით, სარდაფით, საკუჭნაოთი 3-სართულიანის მეორე სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე.

■ 3-ოთახიანი სუფთა ბინა ჭერი 2,75 დიდი დიღომი მეორე მიკრორაიონში მეთერთმეტე სართული 7000 დოლარი.

■ ან ვცვლი ოზურგეთიდან თბილისში 2-ოთახიან ბინაზე ორსართულიან ბლოკის ახლადაშენებულ სახლს ტელეფონით ხეხილიანი ეზოთი (700 კვ.მ.). 11 ოთახიდან 3 არის გამზადებული საცხოვრებლად. ტელ. ოზურგეთში: 639 65595. თბილისში: 988333 ლევანი.

■ დიღმის გამზ. მესამე კვარტალი ა კორპუსში. 9 სართულიანის მეხუთე სართულზე ჩეხური პროექტის ერთოთახიან ბინას ლოჯით, დიდი სამზარეულოთი. დიდი შესასვლელით. 7000 დოლარი. ტელ. 38-65-44.

■ ოროთახიან კერძო ბინას ეზოთი. სვანეთის უბანში. ტელ.: 960986 ნელი. 7000 დოლარი. ერთოთახიანი არის ეზოში. ტელ.: 96-09-86. ნელი.

■ ოროთახიანი ბინა პავლოვის 34 ა. ტელ.: 39-69-06.

■ ან ვცვლი კაპ. სახლს სუფთა მდგომარეობაში ტელეფონით. დამხმარე სათავსოებით. სოფ. გლდანში რუსთაველის ქ. № 10. ტელ.: 36-22-84. კობა, ფასი შეთანხმებით.

■ მიწის ნაკვეთს ვეჯინში ტელ.: 39-81-04.

■ დოლიძის ქუჩაზე 2-ოთახიანი ბინა ლოჯით. მისამართი: მე-4 კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 17. ტელ.: 36-74-93. საღამოს საათებში. იკითხეთ ლიკა.

■ სასწრაფოდ! 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას 4-სართულიანი სახლის მესამე სართულზე. ოთახების ფართია 25+25+20, ლოჯია 10 კვ. მ. ჰოლი — 11 კვ. მ. საერთო ფართი — 110 კვ. მ. ჭერი — 3,60 მ. აბაზანა და ტუალეტი — ცალ-ცალკე. მუხის პარკეტი, რკინის კარი, აივანი გადაჰყურებს ქუჩას. მცირე რეკონსტრუქციის ხარჯზე კეთდება მეოთხე ოთახი, ეზოში მანქანის სადგომით, ტელეფონით, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე. ტელ.: 95-44-83. საწყისი ფასი 28000 დოლარი.

■ 6-ოთახიან საუკეთესო რემონტიან არასტანდარტულ ბინას ვაკეში ბარნოვის ქუჩაზე. საკუთარი ეზოთი, სარდაფითა და ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ **სასწრაფოდ 2-ოთახიან ბინას ალ.ჭავჭავაძის № 5-ში. იზოლირებულ კარგ ბინას მე-2 სართული. ტელ. 22-41-38; 99-65-86.**

■ სასწრაფოდ ჩუღურეთის რაიონში ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე 2-ოთახიან სუფთად გარემონტებულ ბინას და ამავე სახლის პირველ სართულზე ერთ ოთახს შუშაბანდით, ორი სარდაფით, ტელეფონით. ფასი 7000 აშშ დოლარი. ტელეფონი: 96-98-80, ციური.

■ ბახტრიონზე, მხატვრების კორპუსში, მესამე სართულზე, 5-ოთახიან არასტანდარტულ, სუფთა ბინას, ტელეფონით, დიდი ლოჯით, სამი აივნით, ორი ტუალეტით, სარდაფით, მიშენების პერსპექტივით (საერთო ფართი 200 კვ.მ.), მანქანის სადგომი ადგილით. ფასი 60000 დოლარი. ტელეფონი: 37-16-63.

## ვიყიდი

■ სასწრაფოდ ორ ან სამოთახიან ბინას გლდანში 3500-4000 დოლარის ფარგლებში. მე-7, მე-8 მიკრორაიონებს და მეხუთე სართულის ზემოთ ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-12-21, 38-02-30, 93-16-37.

■ 2-ოთახიან ბინას დიღმის მასივში ან დიდუბეში. ტელ.: 30-03-27 (საღამოს საათებში).

■ მიწის ნაკვეთს ან პატარა სახლს ეზოთი ვერაზე, სოლოლაკში, მთაწმინდაზე. ტელ.: 99-70-75, იკითხეთ მანანა.

■ სამოთახიან ფინურ სახლს. ტელ.: 60-05-22.

■ ეზოიან სახლს მეტროსთან 1კვ.მ. რადიუსში ტელ.: 98-32-85. მარინა. 8000 დოლარის ფარგლებში.

■ 1,5 ჩეხურს ან 2 ოთახიან ბინას 3500 დოლარად. ტელ.: 96-23-76. (იკითხეთ ეკა).

■ სამოთახიან ბინას მიშენებით დავით გურამიშვილის მეტროსთან (ყოფილი თემქის), 5-სართულიანი აგურის სახლის მე-3 სართულზე. საერთო ფართი 100 კვ.მ. ჭერი 2,60. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-31-82, იკითხეთ გიორგი.

■ ნაკვეთს ცხვარიჭამიაში, ფართობი 600 კვ.მ. ფასი 600 დოლარი. ტელ.: 38-54-20.

■ წყნეთში 2-სადარბაზოიან, 2-სართულიან სახლის პირველ სართულზე (ბელეტაჟი) კუთხის ბინას, ვანით, ტუალეტით, სამზარეულოთი, მე-[illegible]

ნე და მანქანის სადგომი ადგილებით. ტელ.: 29-86-66, 73-78-90.

■ ნაკვეთს კვესეთში (ბეთანიაში), 600 კვ.მ. ფასი 600 დოლარი. ტელ.: 38-54-20.

■ ვაკეში, უნივერსიტეტთან, არასტანდარტულ, იზოლირებულ პრივატიზებულ ოთხნახევრიან ბინას ტელეფონით, ახალი რემონტით. ტელ.: 22-69-46.

■ 1,5 ბინას გლდანულაში, პირველი კორპუსი, მე-4 სადარბაზო, ტელეფონით, გარემონტებული, 66 კვ.მ. ტელ.: 95-31-62.

■ 2-ოთახიან ბინას, 96 კვ.მ. მე-13 სართული.

■ აბანოთუბანში 1,5 ბინას მე-2 სართულზე.

■ 2-სართულიან კაპიტალურ სახლს 250 კვ.მ. მსხმოიარე ხეხილის ბაღით, ტალავერით. საცხოვრებელი ფართი 160 კვ.მ. მეტრო „ღრმაღელესთან".

■ 4-ოთახიან ბინას ბალანჩივაძის ქუჩაზე, მე-12 სართულზე.

■ 1-ოთახიან ბინას მეტრო „დელისთან", მე-2 სართულზე, ჭერი 2,60, ტელეფონით, აივნით, სარდაფით.

■ 2-ოთახიან ბინას „დელისთან, ჭერი 2,65, ტელეფონით, გარემონტებული.

■

## ვცვლი

■ ერთოთახიან, არასტანდარტულ ბინას, საერთო ფართით 36 კვ.მ. ჭერი — 3,10 მ; (სანტექნიკა სარემონტოა), ორნახევრიან ბინაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, მე-3 მიკრორაიონში (რაიკომის მიდამოებში). ტელ.: 38-76-14, იკითხეთ ნატა.

■ ბინას დიდუბეში, ეკლესიის პირდაპირ, 5-ოთახიან ბინას კარგი რემონტით, გარაჟით და ოთახნახევრიან ბინას. საერთო ფართი 80 კვ.მ. მეორე-მესამე სართულზე საკუთარ სახლზე ეზოთი საბურთალოზე. ჩეხური პროექტი.

## ვაქირავებ

■ **ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ვერაზე, ავეჯით, მაცივრით; რჩეულიშვილის ქუჩა №32-ბ-ში, მე-6 სართული (ყოფილი ხემთოსოვკის დასახლება). ტელ.: 61-52-13.**

■ დადიანის ქუჩაზე 1-ოთახიან ბინას მეტრო „თავისუფლების მოედანთან" 30 დოლარად. ტელ.: 39-89-42. ელიკო.

■ 1 ოთახს მეტრო „დელისთან" იაფად. ტელ.: 39-63-30.

■ ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონში 2-ოთახიან ბინას მესამე სართულზე. ტელ.: 39-63-39.

■ 1 ოთახს მეტრო „დელისთან" ასათიანის ქ. № 4. ტელ.: 39-60-54.

■ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას მეტრო „დელისთან" ტელ.: 31-78-44, 39-60-54.

■ ოროთახიან ბინას გარემონტებულს. ტელ.: 23-17-31.

■ ვაკეში სამოთახიანი ბინის 1 ოთახს. 50 დოლარად. ტელ.: 29-20-69.

■ ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველაზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან. ტელ.: 23-32-92; 39-18-22.

■ 2-ოთახიან არასტანდარტულ ბინას, ბარნოვის ქუჩაზე. ტელეფონით და ავეჯით. თვეში 120 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

■ 2-ოთახიან ბინის 1 ოთახს საბურთალოს ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-24-91.

■ 1-ოთახიან ბინას ყაზბეგის 35-ა-ში. ტელ.: 39-22-31.

■ ბინას მეტრო „დელისთან" ავეჯით, 6 თვით. ტელ.: 39-17-27.

■ წყნეთში 1 თვით 2-ოთახიან ბინას სამზარეულოთი, ვანით, ტუალეტით, ორი აივნით, ავეჯით, კეთილმოწყობილია. საუკეთესო ეზო ფიჭვნარში. მე-2 სართული. ტელ.: 96-40-82,იკითხეთ ბაია ან ლიკა.

■ 1-ოთახიან ბინას მეტრო „დელისთან". ტელ.: 38-45-75.

■ 2-ოთახიან ბინას ფალიაშვილზე თავისი ავეჯით და ტელეფონით. საწყისი ფასი 150 დოლარი. ტელ.: 37-10-92, იკითხეთ სვეტა ან გია.

■ ოთახს მეტრო „დელისთან". ტელ.: 39-63-30.

■ 2-ოთახიან ბინას [illegible] ტელ.: 37-23-75.



## ვყიდი

■ ავტომანქანა გაზ 24-10. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 68-43-92.

■ **ვყიდი ავტომწე ზილ-133-ის ძარაზე, კამაზის ძრავით („კრაკადილი"). 1988 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი 7500 დოლარი. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**

## ვიყიდი

■ მავთულს 4-6 მმ, კატანკას 8-10 მმ და ფოლადის ფურცლებს 3 მმ. ტელ.: 95-22-83.

■ გუდრონს და მინა ქსოვილს. ტელ.: 96-80-99.



## ვყიდი

■ იაპონია-ჩინეთის წარმოების რადიო-ტელეფონს, იდეალურად მუშაობს ჩვენს პირობებში გარანტიით. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 72-41-26, იკითხეთ ჯანო.

■ კორეის წარმოების ახალ აუდიო ფაქსს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-31-67.

■ ტელევიზორს „შილაირისი" 42 სმ დიაგონალი. ჩამონტაჟებული აქვს პალსეკამის ბლოკი. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 72-41-26.

■ საქსოვ მანქანას „ნივა" ორი პრისტავკით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-41-26. ტექნიკა

■ ვყიდი ახალ. გაუხსნელ ვიდეომაგნიტოფონს „სამსუნგი". ფასი 400 დოლარი. ტელ.: 99-93-73



## სხვადასხვა



■ იყიდება ჩეხური წიგნის თაროები. 1 ცალის ფასი 20 დოლარი. ტელ.: 36-46-47.

■ იყიდება ანტიკვარული ბრინჯაოს ჭაღი, მთის ბროლის, მსხლის ფორმით, 7 ნათურით. ტელ.: 95-08-19 (დილით). თემური.

■ იყიდება 18 კილოვატიანი დიზელ გენერატორი ახალი 1500 დოლარი. 8 კილოვატიანი ბენზინ გენერატორი ბორბლებზე, ახალი. მოყვება „ატმოინი მალატოკი" და სვარკის აპარატი 1000 დოლარი 1/2 კილოვატიანი ბენზინ — გენერატორი, ახალი. 2.200.000 რუბლი. ტრაქტორი T-150, 1980 წლის გამოშვება. ნამუშევარი აქვს 150 სთ. არის კომპლექტში 3700 დოლარი. ტელ.: 95-22-83. ნუკრი, თამრიკო.

■ ვყიდი ანტიკვარულ შავი ფერის გერმანულ სამბედლიან ჩუქურთმებიან საკონცერტო პიანინოს „კალმან". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-68.

■ ვყიდი ვიეტნამურ შალის ხალიჩას ახალს 3X2. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-68.

■ ვყიდი ლოგინის 2 გადასაფარებელს 150X2. სირიული წარმოების, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-68.

■ ჩვუყვან ბავშვებს 3 წლიდან 5 წლამდე, 10 საათიდან 18 საათამდე. 23-54-99. ქალ. ლამარა.

■ ვასწავლი სალაპარაკო ენას ინგლისურში და რუსულში, ვამზადებ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. ტელ.: 96-28-94.

■ ვყიდი ბელორუსიის კედელს და მაცივარს „აპშირონს". ტელ.: 96-28-92.

■ იყიდება პერსონალური კომპიუტერი „რობოტრონი 1715ა" (მოდერნიზირებული), ფართო პრინტერით, „რობოტრონი 6312m". მოყვება სრული პროგრამული უზრუნველყოფა აგრეთვე დოკუმენტაცია და სისტემური ცნობარი რუსულ ენაზე. ტელ.: 34-46-46. დათო.

■ ვყიდი ხელით საქსოვ მანქანა ზინგერს და ახალ ჩინურ ადიალებს ყავისფერს თეთრ ფონში. ტელ.: 95-72-43.

■ ვყიდი ავტობუსს „პოლონი". საკუთარი 734418. საყაშვილი პაატა.

■ ვყიდი ბავშვის ჩეხურ სკამს, საკერავ მანქანას, ფეხის და ხელის ყურძნის საჭყლეტს, რბილ ტახტს, გიტარას „ლენინგრადი", გერმანულ აკორდეონს, „პრაიგრივატელს", პიანინოს. ტელ.:39-69-06.

■ ვყიდი ქსეროქს „[illegible]". ფასი 1700 დოლარი.

ტელ. 95-22-83. 10-დან 3 საათამდე. თამრიკო ან ნუკრი.

■ ვყიდი პიანინოს ან ვცვლი სავაჭრო ჯიხურზე. ტელ. 66-56-13. დილის ან საღამოთი.

■ ვყიდი 5 ცალ რკინის ფურცელს. ზომები 2 მ.55 სმ. სიგრძე. 1,07 მ. სიგანე. 2 მმ სისქე. 8 ცალ კუთხოვანას თითო 6,5 მ. სიგრძით. ფასი შეთანხმ. ტელ.: 31-83-54. მანანა.

■ იყიდება პიანინო „ბელორუსი" გერმანული კლავიატურით, მუხის პარკეტი 8 კვ.მ. იყიდება იაპონური ქვაბების კომპლექტი. ტელ.: 39-51-04.

■ ვამზადებ გერმანულში სპეციალური მეთოდით, გადასახადი თვეში 20 დოლარი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 39-07-29.

■ ვიყიდი დახლმაცივარს. ტელ.: 98-29-41.

■ კერძო საბავშვო ბაღი აცხადებს 4-6 წლის ასაკის ბავშვების მიღებას ფრანგული ენის, მუსიკის, ქართული სიმღერების შესწავლით, იმუშავებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე. მისამართი: წინამძღვრიშვილის № 94, I სართული (ეზოდან). ტელ.: 95-69-51. ქეთევან.

■ **ვყიდი კუთხოვანებში ჩასმულ რკინის ბადეს (ღობისთვის, ნაკვეთისთვის), ბადე არის უჟანგავი. მთლიანი სიგრძე 3 მეტრი, სიმაღლე 1 მ და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი მილებით, მილების ზომა არის 2 და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26, იკითხეთ ოთარი.**

■ **ვყიდი მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის. სიმ. 42. ტელ.: 66-19-26; იკითხეთ ოთარი.**

■ ვყიდი პიანინო „ტოკატას", კარგ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 34-78-87.

■ გუდრონს და მინაქსოვილს. ტელ.: 96-80-99.

■ აბაზანას, თეთრს, თუჯისას, რუსეთისას. ზომა 1,70 მ. ტელ.: 23-34-45.

■ ვყიდი რკინის ემალირებულ (ლუჯინის) ბაკს, 1200 ლიტრის ტევადობის.

■ ვყიდი ჩეხურ გიტარას, 6 სიმიანი და სამედიცინო სასწორს. ტელ.: 29-41-02, 95-38-93.

■ ვარ უმაღლესი კატეგორიის ყელ-ყურის ექიმი. ვკურნავ ხახის დაავადებებს, ყურის, როგორც ქრონიკულ, ისე მწვავე ჩირქოვან ანთებებს. საგვარეულო წამლით ვკურნავ კანის დაავადებებს, „ფურუნკულს" (ძირმაგარას). ტელ.: 23-28-09, იკითხეთ მერი ჰაბუკიანი.

■ ვამზადებ მათემატიკაში და ინგლისურ ენაში. ტელ.: 22-46-84.

■ ვყიდი 1884 წლის გამოშვებულ გერმანულ პიანინოს „August Forster"-ს. შავი ფერის, კარგად შენახული. საწყისი ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 95-81-49, 37-10-92, იკითხეთ გია ან გუგული.

■ ვყიდი როიალს „BLUTNER", შავი ფერის. ფასი 2000 დოლარი.

■ ვყიდი ავეჯს აგარაკისთვის: 2 გარდერობი, ტრილიაჟი, ტუმბა, ტახტი, საწოლი, შავთეთრი ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, წიგნების კარადა, გასაშლელი სავარძელი, საწერი ჟურნალი, სამზარეულოს მაგიდა. ყველაფერი 500 დოლარი. ტელ.: 22-36-11.

■ ვისაც სურს მოემზადოს ზოგადი კულტურის საკითხებში საერთო განათლების ასამაღლებლად, დაგვიკავშირდით: 22-75-24.

■ ვამზადებ ინგლისურში სწრაფშემსწავლელი მეთოდით. ტელ.: 93-84-85, იკითხეთ ლია.

■ ვამზადებ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებს მათემატიკაში და რუსულში. ტელ.: 22-51-26.

■ ვყიდი საწერ მაგიდას, წიგნების კარადა-სერვანდს, „სეკრეტერს", „ტრილიაჟს", ხელით საკერავ მანქანა „ზინგერს". ტელ.: 96-31-85, 96-31-83.

■ ვყიდი ანტიკვარულ ფრანგულ შირმას როკოკოს სტილში. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 93-58-71.

■ ვყიდი რუმინულ კედელს სამეულით „ფილიპა". შეფუთული და იუგოსლავიის კედელი „გაი" სამეულით. ტელ.: 66-19-37.

■ ვამზადებ სკოლის ასაკის ბავშვებს სახვითი ხელოვნების საგნებში (ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია). ტელ.: 31-08-09 ან 72-17-20, იკითხეთ ზურა (საღამოს საათებში).

**უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ბიურო დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვაში. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58**

**5-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში, ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე, ზოოპარკის მასხის პირას, ჭერი 3 მ. არქიტექტორების სახლი. ფასი 50 000 დოლარი.**

**3-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე, ჭერი 3,60 მ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით.**

**იყიდება კერძო სახლი პლეხანოვზე ეზოთი, მე-3 სართული, 2 სანკვანძით ქაშეთი. საჭიროებს კოსმეტიკური რემონტის დამთავრებას პირველ და მეორე სართულზე. ფასი 48 000 დოლარი.**

**ფალიაშვილის ქუჩაზე, მე-4 სართულზე, 5-ოთახიანი ბინა, გარშემო აივნებით. მანსარდის მშენებლობა დაწყებულია. 5 წლის რემონტი. ფასი 45 000 დოლარი.**

**იყიდება ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, ჭერი 3,10 მ. ფასი 14 000 დოლარი**

**იყიდება ვერაზე 4-ოთახიანი ბინა 140 კვ.მ. ფართობით, 2 ლოჯი[illegible], 2 ბუხარი, მეორე სართული. ფასი 55 000 დოლარი**

**უცხოური ორგანიზაცია იყიდის სახლს შეერთებულ სახლს. საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 300 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. (თანახმაა მეტრო „ღრმაღელედან" „ისანამდე").**

**იყიდება 300 კვ.მ. ფართის ბინა, 3-ოთახიანი, 2-ოთახიანი, 1-ოთახიანი გაერთიანებული, ფანასკერტელის ქუჩაზე. ფასი 57 000 დოლარი.**

**4-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე, „ბიპროგორსტროის" პირდაპირ. ფასი 65 0[illegible] დოლარი**

**იყიდიან 3-ოთახიან ბინას ვერაზე, ვაკეში, საბურთალოს რაიონებში. ფასი 30 000 დოლარამდე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი საფრანგეთიდან

# გამარჯობა, საქართველო!

[illegible]



1868 წლის 18 მაისი, საღამოს 9 საათი,
თავადიშვილ სალომე დადიანის და თავადიშვილ აშილ მიურატის ჯვრისწერა.
ჩანან: მარცხნივ, დედოფალი ეკატერინე დადიანი, მის გვერდით, ჰერცოგის მეუღლე, ქალბატონი მუში (აშილის და);
მარცხნივ მდგარი ყმაწვილი არის სალომეს უმცროსი ძმა, თავადიშვილი ანდრო;
თავადიშვილ ტარიელ დადიანს უჭირავს გვირგვინი;
დედოფლის უკან დგას მისი მეგობარი და მეჭვარე, გრაფის მეუღლე, ქალბატონი ბერტა ფონ სუტნერი.

ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე მეტად მომაჯადოებელი ცხრა წელი, როგორიც შეიძლება არსებობდეს ბუნებაზე შეყვარებული ბავშვისთვის: დათვებზე ნადირობა, საქონლის ქამანდით შეგროვება, შეჯიბრი ცხენის ჯენებაში (დოღი), უმრავლეს შემთხვევაში უნაგირის გარეშე და თან ცხენოსნებს უკან მისდევდნენ ორი მოთვინიერებული დათვი და ძაღლების ხროვა. შეჯიბრი ისრის ტყორცნაში, კალმახებზე თევზაობა ჩანჩქერებში; გაუთავებელი ნადიმები და მეჯლისები, სიმღერები, ცეკვები.

კვირაობით, სოფლის მოედანზე ეროვნულ ტანსაცმელში, „ჩერკეზკა"-ში, გამოწყობილს მეტად უყვარდა „ლეზგინკა"-ს ცეკვა შავგვრემან, ქერა, დიდ თვალება და კოჭებამდე ნაწნავებიან, მომხიბლავ მეგრელ ქალიშვილებთან.

ეს ყველაფერი იყო სალხინოში, და უფრო მეტიც, იქ იყო მისი ბებია. პატარა აშილს და მის ბებიას, თავადის ასულ სალომე მიურატს ნაზი სიყვარული აკავშირებდათ.

სალომე 1868 წელს პარიზში ცოლად გაჰყვა იოაჰიმ მიურატის (იმპერიის მარშალი, ნეაპოლის მეფე) და კაროლინ ბონაპარტეს (ნაპოლეონ პირველის და) შვილიშვილს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მისი და ახალგაზრდა, წარმტაცი თავადის აშილ მიურატის შეხვედრა შემთხვევითი კი არა, იმპერატრიცა ეჟენის დიდი მზრუნველობის შედეგი იყო. ტიულრის სასახლეში დიდი მეჯლისის დროს ვალსის ერთი ჩამოვლა საკმარისი აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის იმის გასაგებად, რომ ისინი ერთმანეთს უნდა დაკავშირებოდნენ სამუდამოდ.

მოწმეთა გადმოცემით, თურმე, ძნელი იყო იმის გარჩევა, რომელი უფრო მშვენიერი იყო, გაპრიალებულ პარკეტზე მოტრიალე თვრამეტი წლის სალომე, თუ მისი დედა, თავადის ასული ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა, სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ჯერ კიდევ ძალიან ლამაზი, უზომოდ ელეგანტური, თავის გრძელ, მაქმანებით შემოსილ კაბაში, რომელიც მაშინ სახელგანთქმულმა ვორტმა დახატა.

[illegible]

წინაპრების მამულზე ზრუნვაში გაეტარებინა, მაგრამ რევოლუციის ქარიშხალმა სხვაგვარად გადაწყვიტა მისი ბედი.

\+ + +

სამეგრელოს მიურატები ლუსიენის შთამომავლები არიან. ამჯერადაც იმპერატრიცა ოჟენის ზრუნვით გადაწყდა ოჯახური ბედისწერა. იმპერატრიცა მუდამ მზად იყო დასახმარებლად, მიუხედავად პირადი სირთულეებისა და წუხილებისა. მან ვერ დაითანხმა თავისი ნათლული, დამოუკიდებელი ნაპო, დამტკბარიყო ქორწინების მშვენიერებით, მხოლოდ ლუსიენი დააინტერესა, მაჭანკლობა გაუწია და ბრეტანის სახელგანთქმულ, უძველეს ოჯახს დაუკავშირა. 1897 წლის 31 მაისს ლუსიენმა ცოლად შეირთო მარი დე როან-შაბო, როანის ჰერცოგის შვილი. ეს ქორწინება ნაკლებბედნიერი გამოდგა, ვიდრე სალომესი და აშილის. იმ დროს ჩემს მომავალ ბებიას, თუმცა ერ ეხერხებოდა გულთა პყრობა, მაინც დაულოცველი გამოდგა იმპერატრიცას მაჭანკლობა, ამ ქორწინებიდან დაიბადა მეორე აშილი, ის, რომელსაც უნდა დაეტოვებინა თავისი სულის ნაწილი სამეგრელოში. მან შექმნა საოცრად ლამაზი, მომხიბლავი და საინტერესო ოჯახი ჩვენს შესანიშნავ დედასთან, მაგდელენ დე შასლუ ლობასთან, რომელიც გაგიჟებით გვიყვარდა მის ცხრა შვილს.

ბავშვების ამ მწკრივში ორს ქართული სახელები დაერქვა, რადგან მე უფროსი ვიყავი, დამარქვეს სალომე, კავკასიელი, ძვირფასი ბებიის მოსაგონებლად. მომდევნო ქალიშვილს დარქვეს თამარი. ოჰ, ამ იშვიათმა სახელებმა რამდენჯერ გაგვირთულეს ჩვენ ახალგაზრდა მოწაფეებს ცხოვრება!



აშილ ამელი ეწვევა [illegible]

[illegible] მზრუნველობით იყო შენახული, როგორც ძვირფასი რელიკვიები. რთული პრობლემის წინაშე იდგა აშილი: ჭკადუაში ჩასასვლელად, სადაც მისი ბებიის ყოფილი მამული ეგულებოდა და, აგრეთვე ბაბუის საფლავი, იძულებული იყო მოეგონებინა იქით მიმავალი გზა. რადგან იმ დროს ადგილობრივი რუკები არ არსებობდა, ახლადდასახლებული ადგილების სახელები შეცვლილი იყო და, როგორც საერთოდ ყველგან, ახალი მშენებლობები შლიდნენ ძველად არსებულ მისაგნებ ადგილებს. ერთმა ქართველმა მძღოლმა მამაცურად უარყო უცხოელებისთვის მხოლოდ ერთი, განსაზღვრული გზით მისი წაყვანა და აშილს მეგზურობა გაუწია. 60 კილომეტრის მანძილზე გადაჭიმული მდინარეები და პეიზაჟები მის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩენილიყო.

ჭკადუაშთან ახლოს, აშილს ათიოდე წლის ბიჭი გაჰყვა მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გზებზე. ხის სვეტებიანი სახლი ხელუხლებელი დახვდა, გარშემორტყმული ცაცხვის ორი ხით, რომელთაც აშილი იცნობდა და რომლებიც ახლა უზარმაზარები გამხდარიყვნენ.



სალხინო, 1908 წლის აპრილი
თავადიშვილ სალომეს შვილიშვილის, პატარა აშილის ჩამოსვლა.

ხის სახლი ბავშვთა აღზრდის კერად გადაეკეთებინათ და მრავალი ბავშვი და აღმზრდელი დიდი სიხარულით შეეგება მგზავრს.

არც ერთ მათგანს უცხოვრია ძველი რეჟიმის დროს, ყველაზე უფროსი მათ შორის ორმოცი წლისაც არ იყო. მიუხედავად ამისა, მეგზურთა მთელი დელეგაცია გაჰყვა აშილს ტყეში, ბაბუამისის საფლავამდე, რომელსაც მისი გარდაცვალებიდან, ე.ი. 1895 წლიდან მოყოლებული დღემდე უვლიან.

იქ, ყველა, დიდიც და პატარაც, იცნობდა ადრინდელი პატრონების ისტორიას, მათ გვარს, მათ როლს ქვეყნის წინაშე, იცოდნენ მათზე ანეკდოტები და მათი ზედმეტი სახელებიც კი.

სახლის შუშაბანდში კიდევ ერთი მოულოდნელობა... ნაუცბათევად გაშლილი მაგიდა, ღვინით სავსე დოქები და უგემრიელესი მეგრული კერძები. დაიწყო დიდი ზეიმი, სადაც აშილმა გუნდთან ერთად გიტარის თანხლებით, თავისი ბავშვობის დროინდელი ძველი მელოდიები იმღერა. როცა ერთი ქალიშვილი წამოდგა და „ლეზგინკა" იცეკვა, მან ვერ გაუძლო სურვილს და... მის სრულ ბედნიერებას მხოლოდ" ჩერკეზკა" და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი აკლდა.

მეორე დღეს აშილი ზუგდიდ-სალხინოს ასკილომეტრიან გზას გაუდგა, რომლის გავლასაც, ადრე, ეტლით, ერთ დღეს უნდებოდა. მდინარე ტეხურის და საყვარელი მთის კუბიას წყალობით, სადაც მან პირველად მოკლა დათვი, მიაგნო სასახლეს, რომელიც ჭადრების ხეივნის პირას გამოჩნდა. მიახლოვებისას მოაგონდა წარსული, გაახსენდა აღმოსავლური, საუცხოო სალონი, რომლის ჭერიც მორთული იყო ხის მოჩუქურთმებული ტრიალა ვარდით. როდესაც დიდი ბაბუა წვეულებებს მართავდა და სტუმრები მოლხენას იწყებდნენ, თვალის ერთი მინიშნებით ჭერზე ვარდის გამოსახულება იწყებდა ნელა ტრიალს და სტუმრები უფრო ადვილად შედიოდნენ განცხრომაში.

აშილი აღელვებული მიუახლოვდა სახლს, შეიჭყიტა ფანჯრებზე მიკრულ ფიცრებს შორის და დაინახა, რომ ხანძარს გაეჩანაგებია შიდა ნაწილი. მან მაინც მოახერხა გარეთა კიბეებზე ასვლა, ნანგრევებს შუა გაიკვალა გზა, თავის ყოფილ ოთახში შევიდა და იქ, სხვისი თვალისგან მოშორებით, თავისუფლად მიეცა მოზღვავებულ განცდებს.

მისი გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მანქანის ნახვით გაოცებული მეგრელები ყველა კუთხიდან მორბოდნენ, მოლუშული სახეებით: „ვინ გაბედა სასახლეში შესვლა?" ახლად მოსულმა ძლივს მოასწრო თქმა: „მე ვარ აშილი, თავადიშვილ სალომეს შვილიშვილი", რომ, მაშინვე ერთი ატირებული კაცი გადაეხვია მას: „შენ ხარ არჩილი? ჩამოხვედი ბოლოს და ბოლოს, მიცანი? მე შენი გართობის განუყრელი მეგობარი ვიყავი".

აშილმა დაათვალიერა ღვინის ძველი სარდაფები. გახსნეს რამდენიმე ბოთლი, რომელთაც შერჩენოდათ გარდასულ დროთა გემო და იმღერეს ცნობილი ქართული სიმღერა „მრავალჟამიერი".

დრო ძალიან მალე გავიდა. აშილს ყველა გაჰყვა მდინარის პირას, სადაც მან მიწა აილო მუჭით, პატარა ფუთაში ჩაყარა და გამოაცხადა, რომ ეს მიწა თან ჩაჰყვებოდა საფლავში. შემდეგ ყველა დიდი პატივისცემით დაემშვიდობა და უკან დასაბრუნებელ გზას გაუდგა



აშილი და მისი უფროსი ქალიშვილი სალომე პარიზში.

მთელს ქვეყანაში ხმა გავარდა, რომ წარსულის გამაცოცხლებელი შვილიშვილი ნამდვილად იქ იმყოფებოდა.

სოხუმში, მოგზაურობის ბოლო ეტაპზე, შუაღამისას ტელეფონის ზარმა გააღვიძა აშილი, ვიღაც კარის გაღებას ითხოვდა. მოვიდა დაახლოებით ორმოცდაათი წლის კაცი, გულში ჩაკრული ფოტოსურათებით და აშილის გასაცნობად მოიყვანა თავისი შვილიშვილი. აშილი სიხარულით შეეგება ღამის სტუმარს, რომელიც ბებიამისის ერთგული ადმინისტრატორის, ალექსი ბერიძის ვაჟი იყო.

\+ + +

1987 წლის 29 მარტს აშილი ქართული მელოდიის ღიღინში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი ფიქრი თავისი ბავშვობის ქვეყანას ეკუთვნოდა. ის ბებიის გვერდით განისვენებს, რომელიც საფრანგეთში გარდაიცვალა 1913 წელს.

აშილის მრავალგზის მითითების თანახმად, ის ერთი მუჭა მიწა, რომელიც მან სამეგრელოდან პატარა ფუთითი ჩამოიტანა 1965 წელს, ლოყასთან მივუდეთ და კუბოში ჩავატანეთ .

ამჟამად, ჩემი ჯერია შევუდგე დიდი მოგზაურობის გზას, ჩემი დის პოლინის თანხლებით, მხოლოდ ის შესძლებს ჩვენი საგვარეულოდან წამოსვლას. ჩვენ აღელვებულები და ნდობით სავსენი გავემგზავრებით 20 სექტემბერს საქართველოში.

სამწუხაროდ, არ ვლაპარაკობთ ქართულად, მაგრამ გულის ენა ხომ საყოველთაოა?!

**სალომე მიურატ-შალანდონი**

პარიზი 1995 წლის 10 ივლისი

თარგმნა ხათუნა ჯავახიშვილ-რუხაძემ

პოლიტიკური პორტრეტი

# მეხუთე რესპუბლიკის მეხუთე პრეზიდენტი

**საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის პროექტის განხილვისას პრიორიტეტი პრეზიდენტის ინსტიტუტს მიანიჭა. მაშასადამე, სამომავლოდ, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მაინც, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობის ჩარჩოებში მოექცევა და მისი წესებით იცხოვრებს. ბუნებრივია, რომ როდესაც ესა თუ ის პოლიტიკოსი პრეზიდენტი, ანუ სახელმწიფოს ნომერ პირველი პერსონა ხდება, ამ პიროვნების მიმართ საზოგადოების ინტერესი ერთიორად იზრდება და მისი ბიოგრაფიის ყოველი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალიც კი ცნობისმოყვარეთა ყურადღებას იქცევს.**
**ქართული სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი ლუპის ქვეშ მიმდინარე წლის შემოდგომის მიწურულს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოექცევა, მანამდე კი, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი სახელმწიფო მეთაურის კოლეგისა და პარტნიორის, საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე სამიოდე თვის წინ არჩეული ჟაკ შირაკის პოლიტიკური პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი.**

საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად, ამ ქვეყანაში „პრეზიდენტი ირჩევა 7 წლის ვადით საყოველთაო კენჭისყრით. იგი ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთობის, შეთანხმებების და ხელშეკრულებების დაცვის გარანტია, რომელიც თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის შესრულებას, როგორც არბიტრი, უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას და სახელმწიფო პოლიტიკის მემკვიდრეობას".

ეს მძიმე და საპატიო ტვირთი ფრანგმა ხალხმა 7 მაისიდან გამოცდილ პროფესიონალ პოლიტიკოსს, 62 წლის ჟაკ შირაკს „აჰკიდა". იგი ქვეყნის რიგით ოცდამეორე პრეზიდენტი გახდა, თუმცა, დე გოლისეული საპრეზიდენტო „კალენდრით", რომლის მიხედვითაც საფრანგეთში 1958 წლიდან მეხუთე რესპუბლიკა გამოცხადდა, პარიზის ბანკის მოხელის ერთადერთი შვილი, „მხოლოდ" მეხუთე პრეზიდენტია.

ერთი შეხედვით, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდობაში ჟაკ შირაკი საკმაოდ გატაცებული ყოფილა მემარცხენე იდეოლოგიით. მეტად პრესტიჟულ პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში სწავლის პერიოდში იგი კვირაობით ქუჩებში ავრცელებდა საფრანგეთის კომპარტიის გაზეთ „იუმანიტე დიმანშს", მონაწილეობდა ანტისამხედრო მანიფესტაციებში, ხელი მოაწერა სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე. ახალგაზრდას, რომელსაც უცხო ენების ადვილად შესწავლის ნიჭიც აღმოაჩნდა, თანდათან იტაცებს რუსული ლიტერატურა და პოეზია, მაგრამ ოჯახი წინ აღუდგა მემარცხენე იდეებით მის ასეთ გატაცებას. თავად ჟაკმაც პიროვნების კულტის „მხილების" შემდეგ გული აიყარა „ტოტალიტარულ კომუნაზე" და „მეტად კონსერვატორულ სოციალიზმზე".

კონფლიქტიდან გამოსავალს ჟაკ შირაკი ქვეყნიდან გამგზავრებაში, უფრო ზუსტად, ოკეანის გაღმა გაქცევაში ეძებს. ამისთვის მან გაიარა სავაჭრო ფლოტის იუნგის სკოლა სიამაყე ნებას არ აძლევდა, მამისთვის სამგზავრო ფული ეთხოვა...

ამერიკაში იგი ესწრება ლექციებს ჰარვარდის უნივერსიტეტში და... იწყებს მუშაობას ერთ-ერთ მილიარდელ ქალთან მძღოლად და პირად მცველად. საერთოდ, ამერიკელი ქალები, თურმე, აღტაცებაში მოდიოდნენ მომხიბლავი ახალგაზრდა ფრანგით...

მაგრამ ჟაკ შირაკს არ აკმაყოფილებს დონ-ჟუანის როლი. იგი ბრუნდება საფრანგეთში და არმიაში იწყებს სამსახურს, 22 წლის შირაკი იღებს ოფიცრის პირველ ჩინს და ალჟირში მიემგზავრება საომრად, მაგრამ მალე თავს ანებებს სამხედრო საქმეს და შედის ეროვნულ ადმინისტრაციულ სკოლაში, რომელიც უმაღლესი სახელმწიფო ჩინოვნიკების კადრების სამჭედლოდ მიიჩნევა.

მომავალ პრეზიდენტს ჩინოვნიკურ კარიერაზე ხელი აალებინა მისმა სიმამრმა დე გოლის იდეების მხურვალე თაყვანისმცემელმა. პრესტიჟული სკოლის ახალი კურსდამთავრებულიც გოლისეული შეხედულებებით იმსჭვალება და გენერლის დროშის ქვეშ დგება. იწყება მისი აღმასვლა პოლიტიკური კიბის საფეხურებზე უკვე 30 წლის ასაკში შირაკი შედის მთავრობაში, რომელსაც სათავეში უდგას დე გოლის მეორე ერთგული მიმდევარი ჟორჟ პომპიდუ.

საოცარი ენერგიულობისა და უდიდესი შრომისუნარიანობის გამო, პრემიერმა პომპიდუმ „ყოჩაღ" თანამშრომელს „ბულდოზერი" შეარქვა. მის „ფრთებს ქვეშ" ჟაკი საკმაოდ კარგ კარიერას იკეთებს იღებს სოციალურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის პორტფელს, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრი ხდება. ამბობენ, რომ როდესაც ჟორჟ პომპიდუ, საფრანგეთის პრეზიდენტი, კიბოთი გარდაიცვალა, მისი ერთგული მინისტრი თურმე ბავშვივით ტიროდა...

განსაკუთრებულ პოპულარობას ჟაკ შირაკი 1974 წელს იხვეჭს. ყველასთვის მოულოდნელად, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად უარს ამბობს ნეოგოლისტ ჟაკ შაბან-დელმასის მხარდაჭერაზე და გადადის საფრანგეთის დემოკრატიული კავშირის ლიდერის ვალერი ჟისკარ დესტენის ბანაკში, რომელთანაც შირაკი მანამდე პომპიდუს კაბინეტში მუშაობდა. კავშირი იმარჯვებს არჩევნებში და ახალი პრეზიდენტი, მადლიერების ნიშნად, „მოკავშირეს" პრემიერმინისტრად ნიშნავს. მაგრამ, ორი წლის შემდეგ, ახლადგამომცხვარი პრემიერი ტოვებს მთავრობის მეთაურის პოსტს, ნეოგოლისტთა ბანაკში ბრუნდება და ქმნის პარტიას, რომელმაც იგი ოცი წლის შემდეგ იგი პრეზიდენტის სავარძელზე დააბრძანა.

ტრამპლინად პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში ჟაკ შირაკი ირჩევს პარიზის მერიას, მისი სიტყვებით, „რესპუბლიკას რესპუბლიკაში". 1977 წელს იგი აირჩიეს საფრანგეთის დედაქალაქის მერად და ამ თანამდებობაზე იგი რჩებოდა ბოლო დრომდე. თუმცა, ზოგჯერ მის „გათვლაში" უზუსტობაც შეინიშნებოდა და „ტრამპლინი არ მუშაობდა": 1981 და 1988 წლებში შირაკმა წააგო არჩევნები სოციალისტების ლიდერ ფრანსუა მიტერანთან, მაგრამ მოხუცებულმა და მძიმედ ავადმყოფმა მიტერანმა მესამედ აღარ წამოაყენა პრეზიდენტად თავისი კანდიდატურა, რითაც შედარებით ახალგაზრდა „კარიერისტს" მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა საქმე. მან „ხელში აიყვანა თავისი თავი" და მოაწყო 25 ათასკილომეტრიანი მომქანცველი წინასაარჩევნო ტურნე მთელ საფრანგეთში. ჭეშმარიტი ორატორი და ტრიბუნი ხელიდან არ უშვებს ადამიანებთან კონტაქტის შესაძლებლობებს, ხვდება მათ ქუჩებში და მოედნებზე, ბაზრებში და სასაუზმეებში.

ჟაკ შირაკს კიდევ ერთხელ შეაქვს კორექტივები თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში: პრემიერმინისტრად ყოფნისას მას მიიჩნევდნენ „ულტრალიბერალად", მოგვიანებით კი ის აქცენტს აკეთებს რიგითი ფრანგების ცხოვრების სოციალურ ასპექტებზე. მის ბოლო წინასაარჩევნო პროგრამას ეწოდებოდა „საფრანგეთი ყველასთვის" და ამათრახებდა „პრივილეგირებულებსა და სპეკულანტებს, რომლებიც კიდევ უფრო მდიდრდებიან მაშინ, როდესაც ქვეყანაში მატულობს ღარიბთა რიცხვი".

ახალი პრეზიდენტი, ამჯერად, წინა პლანზე აყენებს „რესპუბლიკური სახელმწიფოს მუდმივ ღირებულებებს" სამშობლოსადმი სიყვარულს, მოვალეობის გრძნობას, საზოგადოების თითოეული წევრის პატივისცემას და ა.შ. იგი მოითხოვს, ქვეყანაში გატარდეს სიღრმისეული ცვლილებები, რადგან „ეროვნული ერთიანობა საფრთხის ქვეშ იმყოფება".

ჟაკ შირაკი პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს დასაქმების საკითხის მოგვარებას (დღეისთვის საფრანგეთში სამ მილიონზე მეტი უმუშევარია). ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ პრეზიდენტის სავარძლის დაუფლებისთანავე მან მთავრობაში შექმნა ახალი სამსახური შრომის სამინისტრო, პრემიერმინისტრთან კი დასაქმების საკითხების სახელმწიფო მდივნის პოსტი.

საფრანგეთის XX საუკუნის უკანასკნელი პრეზიდენტის (ბუნებრივია, თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა) გეგმებში შედის, აგრეთვე, საკონსტიტუციო რეფორმის გატარება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ამაღლდეს პარლამენტის როლი, გაიზარდოს მისი მაკონტროლებელი ფუნქციები, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული საშემოსავლო გადასახადების ხარჯვის საკითხში. ჟაკ შირაკმა მოუწოდა ფრანგ კანონმდებლებს, არ გაიტაცოს ისინი დიდი რაოდენობით ახალი კანონების მიღების სურვილმა (ნეტავ, როდის დავდგებით ჩვენ მსგავსი „სირთულის" წინაშე? ავტ.) და შეახსენა მათ მოარული ნათქვამი „ბევრი კანონი კლავს კანონს". პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა უნდა გამარტივდეს, რათა უფრო ეფექტური გახდეს.

რაც შეეხება ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ამ საქმეში შირაკმა, რომ იტყვიან, „მსოფლიო აახმაურა". მისმა გადაწყვეტილებამ, განაახლოს ატომური გამოცდა წყნარ ოკეანეში, ბევრ ქვეყანაში მასობრივი ანტიფრანგული კამპანია გამოიწვია, რომელსაც პოლიტიკური დატვირთვის გარდა, შესაძლოა, საფრანგეთისთვის სერიოზული ეკონომიკური გართულებები მოჰყვეს ბევრმა საზღვარგარეთულმა პარტნიორმა უარი განაცხადა მსხვილი კონტრაქტების ხელმოწერაზე. დაიწყო ბოიკოტი ფრანგულ საქონელზე ღვინის ჩათვლით, რომლის ექსპორტიც მარტო ავსტრალიაში 40 პროცენტით შემცირდა. გარდა ამისა, საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურს დამამცირებელი ინსტრუქცია მოუწყეს სტრასბურგში ევროპარლამენტის სხდომაზე. ამას თან დაერთო უსიამოვნო ისტორია მთავრობის მეთაურის ალან ჟიუპეს მიერ მუნიციპალური ბინით სარგებლობისას დარღვევების შესახებ.

ასე რომ, მეხუთე რესპუბლიკის მეხუთე პრეზიდენტს სამომავლოდ საკმაოდ მძიმე ტვირთის ზიდვა მოუწევს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ის „ბულდოზერია" და თანაც ახალი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სიმძიმეებს ის იოლად გაუმკლავდება.

მოამზადა

**გია მახარაძე**

ფაქტები და მოვლენები

## ავსტრალიელთა პროტესტი

როგორც ადრე გაუწყეთ, საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ პოლინეზიის კუნძულთა რეგიონში ახალი ბირთვული იარაღის გამოცდის შესახებ ანტიბირთვული საერთაშორისო მოძრაობა „გრინპისის" მძაფრი პროტესტი გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყნების სამმა ხომალდმა, რომელთა ბორტებზეც „გრინპისელთა" გარდა ჟურნალისტ-რეპორტიორებიც ბლომად იმყოფებოდნენ, გეზი პოლინეზიისკენ აიღეს, მაგრამ მათ გზის გაგრძელების საშუალება ფრანგულმა სამხედრო გემებმა არ მისცეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას. საქმე ისაა, რომ „გრინპისის" ერთ-ერთი ხომალდი ამ კონტინენტ-სახელმწიფოსი გახლავთ. საფრანგეთმა პროტესტი არ მიიღო, პირიქით, თავის ქმედება მეტად ჰუმანურ აქტად მიიჩნია. „ჩვენ რომ თქვენი და სხვათა ხომალდებისთვის გზა არ გადაგვეჭრა და წინსვლის საშუალება მიგვეცა, საინტერესოა რა ხასიათზე დადგებოდით ეს გემები ბირთვული მოქმედების ზონაში სწორედ აფეთქების ჟამს რომ შესულიყვნენო", განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

## ისლამური ფუნდამენტალისტები არ ცხრებიან

რადიო ბიბისის ცნობით, ბელგიის პოლიციამ ანტვერპენში დააკავა რამდენიმე ალჟირელი. გამოძიებით დასტურდება, რომ სწორედ მათ განახორციელეს გასული თვის მანძილზე აფეთქებათა სერია პარიზის მეტროს სადგურებში, რომლის დროსაც დაიღუპა და მძიმედ დაიჭრა ათეულობით ადამიანი. დაკავებულმა ალჟირელებმა აღიარეს, რომ რამდენიმე საათისმექანიზმიანი ბომბი მათ პარიზის მეტროს საგარეუბნო სადგურების სანაგვე ურნებში დამალეს და ისინი ორიოდე საათში უნდა აფეთქებულიყო. ბელგიელი პოლიციელები სასწრაფოდ დაუკავშირდნენ პარიზს. ბომბებს „სულზე მიუსწრეს" და გაუვნებელყვეს. ამ მოვლენებიდან რამდენიმე საათის შემდეგ პარიზსა და ანტვერპენის პოლიციის მთავარ სამმართველოებში ტელეფონით დარეკეს ისლამისტ-ფუნდამენტალისტებმა და კატეგორიულად მოითხოვეს დაკავებული ალჟირელების გათავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერორის ახალი სერიებით იმუქრებოდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პატიმარმა ალჟირელებმა განაცხადეს, რომ აბონენტები, სავარაუდოა, ისლამისტები ყოფილიყვნენ. მათ არ აუხსნიათ, თუ რატომ მივიდნენ ამგვარ დასკვნამდე. „ისინი უბრალოდ თვითმარქვიები არიან. ჩვენ ტელეფონით ულტიმატუმებს არ ვაყენებთ, მას მხოლოდ ტერაქტის განხორციელების შემდეგ მივმართავთ, რადგან, როგორც წესი, აუცილებლად ვაცნობებთ პოლიციას, რომ აქტის ავტორები ჩვენ ვართ და არა სხვა ორგანიზაცია", თქვეს ალჟირელებმა.

## ცნობები ყოფილი იუგოსლავიიდან

გაეროს საგანგებო წარმომადგენელი ზაგრებიდან იუწყება, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში დისლოცირებულმა ნატოსა და გაეროს შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ ერთხელ წაუყენეს ულტიმატუმი ქრისტიან სერბთა სამხედრო სარდალს ვლადკო ვლადიჩს, სასწრაფოდ გაიყვანოს თავისი ქვედანაყოფები სარაევოდან ოთხკილომეტრიანი რადიუსით. გაერო და ნატო პირობას იძლევიან, რომ ამ მითითების განხორციელების დაწყებისთანავე ისინი შეწყვეტენ ყოველგვარ საბრძოლო მოქმედებებს სერბ ქრისტიანთა წინააღმდეგ. როგორც რადიო „თავისუფლება" იუწყება, ვლადიჩი თანახმაა, მხოლოდ ერთი პირობით: ის მოითხოვს, რომ შეწყდეს მათი საბრძოლო პოზიციების თავზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების თვითმფრინავების ფრენა.

აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა კი განაცხადა, რომ იგი ტელეფონით ესაუბრა სერბ ქრისტიანთა ლიდერს რადოვან კარაჯიჩს და მისი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, სერბები გაეროს ყველა პირობაზე თანახმანი არიან, ოღონდ ნატოს ჯარები წყლარ დაუშვენ ცეცხლს მათ პოზიციებს. ამის შესახებ იუწყებოდა ტელეკომპანია .

## ჩეჩნეთი: ბრძოლები გრძელდება

რადიო „თავისუფლების" ცნობით, გასული დღეღამის განმავლობაში ჩეჩნეთში კვლავ გრძელდებოდა შეიარაღებული შეტაკებანი რუსეთის ქვედანაყოფებსა და ჩეჩენ მებრძოლთა შორის. 24 საათის მანძილზე ადგილი ჰქონდა 19 შეტაკებას, რომლის დროსაც დაიღუპა 2 და დაიჭრა 5 რუსი ჯარისკაცი. შეიარაღებული დაპირისპირება კვლავ გრძელდება. იტარ-ტასი კი იტყობინება, რომ პრეზიდენტ ბორის ელცინის პირადი წარმომადგენელი ჩეჩნეთში ოლეგ ლობოვი ამ კვირას მოსკოვიდან კვლავ გროზნოს ჩაფრინდება.

## აზერბაიჯანი უარყოფს, თუმცა...

აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტრომ უარყო ირანის ზოგიერთი საინფორმაციო წყაროების ცნობა აზერბაიჯანის თითქოსდა საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ ისრაელის სპეცსამსახურებთან. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა უშიშროების სამინისტრომ. მას მიაჩნია, რომ სიცრუეა სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ირნას" მიერ გავრცელებული ცნობა ბაქოში ისრაელის სპეცსამსახურის 45 ოფიცრის საიდუმლო ვიზიტის შესახებ აზერბაიჯანის უშიშროების ორგანოებისადმი დახმარების გაწევის მიზნით მათი მოღვაწეობის გარდაქმნისა და მოდერნიზაციის, აგრეთვე კადრების მომზადების საქმეში.

ამავე დროს, აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ არსებობს გრძელვადიანი შეთანხმებანი რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებთან. რომელიც ითვალისწინებს ტერორიზმთან, იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდასთან და რიგ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ თანამშრომლობას.

აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტრომ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, "რომ იგი მზადაა განავითაროს და გააფართოვოს მსგავსი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოთა სპეცსამსახურებთან.

## მოკლედ

**ვაშინგტონი.** რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების ერთობლივი დესანტირებით ოაჰუს კუნძულის უდაბური პლაჟის მონაკვეთზე დამთავრდა ჰავაის კუნძულებზე მიმდინარე მანევრები „თანამშრომლობა ზღვიდან 95". მანევრები მიმდინარეობდა ზღვაში ერთობლივი წვრთნის, კავშირგაბმულობის ორგანიზაციის, უბედურებაში ჩავარდნილი გემისთვის დახმარების გაწევის დახვეწის მიზნით.

**ვაშინგტონი.** ბოსნია და ჰერცეგოვინაში ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ განხორციელებული დაბომბვები „სწორი პასუხი იყო სარაევოს უსასტიკეს დაბომბვაზე", განაცხადა ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. „საჰაერო დარტყმები ბოსნიელ სერბებს დაარწმუნებს, რომ „უსაფრთხოების ზონებზე" თავდასხმებითა და სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთა დახოცვით ისინი ვერაფერს მოიგებენ, დაკარგავით კი ყველაფერს დაკარგავენ". ასეთი აზრი გამოთქვა ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურმა, როცა ჰავაის კუნძულებზე ჩავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

**ბელგრადი.** სერბიის რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა მილოსლავ ტოხოლმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირის ხუთი მეთვალყურე, რომლებიც, თითქოს ოთხშაბათს დაიღუპნენ სარაევოს სერბთა ნაწილში ნატოს ავიაციის დაბომბვის შედეგად, ცოცხალი ყოფილა. სარაევოს სერბთა რადიოს ცნობით, ხუთშაბათს საერთაშორისო მეთვალყურეებმა, ცოცხლებმა და უვნებლებმა, დატოვეს ბოსნიელ სერბთა ტერიტორია.

**ბონი.** მარცხით დამთავრდა იტალიის პიაჩენცას სამხედრო აეროდრომიდან გერმანული თვითმფრინავების „ტორნადოს" პირველი საბრძოლო გაფრენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წყაროებზე დაყრდნობით, იუწყებიან, რომ ხუთშაბათს გერმანიის თვითმფრინავები ჰაერში ავიდნენ ნატოს თხოვნით „ბოსნიაში სწრაფი რეაგირების საერთაშორისო ძალების დასაცავად", მაგრამ „ტორნადოებმა" დასახულ მიზანს რომლებიც არ არის დაზუსტებული, ვერ მიაღწიეს. ისინი იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ დისლოკაციის აეროდრომზე „ტექნიკური მიზეზების გამო".

**ბელგრადი.** ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალებმა ამ დღეებში ღამღამობით განაახლეს ბოსნიაში სერბთა სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების დაბომბვა. იმ მონაცემების თანახმად, რომლებიც გამოაქვეყნეს ნეაპოლში ნატოს სამხრეთ სექტორის სარდლობის შტაბბინაში, ორი დღის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავიაციის მიერ დაბომბვების დროს მოხდა 400 საბრძოლო გაფრენა ბოსნიაში.

**ჩეჩნეთი:** დამოუკიდებლობის მე-4 წლისთავი

დღეს აღინიშნება ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-4 წლისთავი. რუსეთის მხარე შიშობს, რომ ამ დღეს შესაძლოა ჩეჩნეთში რაიმე „არეულობა" მოხდეს. დუდაევის მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა კი გაავრცელეს განცხადება, რომ დამოუკიდებლობის თარიღს ზეიმით აღნიშნავენ და მათი მხრიდან შეიარაღებულ პროვოკაციას არ ექნება ადგილი. თუ რა იქნება უნდა ამგვარ ქმედებაზე ფედერაციის ქვედანაყოფებიც უარს იტყვიან.

ფეხბურთი

# შესარჩევი ციკლი გრძელდება

დღეს ფეხბურთში ევროპის შესარჩევი ციკლის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართება. ტურნირი ფინიშის სწორზე გავიდა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს ქვეჯგუფების მიხედვით გუნდების სატურნირო მდგომარეობას.

I ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-5 | 17 |
| საფრანგეთი | 7 | 2 | 5 | 0 | 7-1 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-8 | 11 |
| ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| სლოვაკეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-17 | 0 |

ამ ქვეჯგუფს გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს. თუ გავითვალისწინებთ რუმინეთის ნაკრების სიძლიერეს და იმას, რომ რუმინელებს დარჩენილი სამი შეხვედრიდან (პოლონეთის, საფრანგეთის და სლოვაკეთის გუნდებთან) ერთი გამარჯვებაც ჰყოფნით, სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ პირველი ადგილის ბედი გადაწყვეტილია. აი მეორე საგზურს კი ერთდროულად რამდენიმე პრეტენდენტი ჰყავს! მათგან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში პოლონეთის გუნდი იმყოფება, რომელიც შინ მიიღებს რუმინეთის ნაკრებს და წარმატების შემთხვევაში ფინალურ ეტაპზე მოხვედრის რეალური შანსი ექნება, რადგან დარჩენილ ორ შეხვედრას პოლონელები სლოვაკეთის და აზერბაიჯანის გუნდებთან ჩაატარებენ. ფრანგები სტუმრად ითამაშებენ რუმინეთის ნაკრებთან, ხოლო ბოლო მატჩს შინ გამართავენ ისრაელის გუნდთან. დღეს კი ერთმანეთს შეხვდებიან: საფრანგეთი-აზერბაიჯანი, პოლონეთი-რუმინეთი, სლოვაკეთი-ისრაელი.

II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-3 | 19 |
| დანია | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| სომხეთი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-11 | 2 |

ამ ჯგუფში ესპანეთის ნაკრები კონკურსგარეშეა. დარჩენილი სამი შეხვედრიდან ესპანელები ორს შინ, თანაც კვიპროსის და მაკედონიის გუნდებთან ჩაატარებენ. მეორე ადგილის ბედი კი ვფიქრობთ, რომ დღეს, ბელგია-დანიის მატჩში გადაწყდება. ბელგიის ნაკრებს ამ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. სხვა ნებისმიერი შედეგი დანიელთა სასარგებლოდ იქნება. დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: ბელგია-დანია, ესპანეთი-კვიპროსი, მაკედონია-სომხეთი.

III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| შვედეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| ისლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |

თურქეთის ნაკრებს პირველად თავისი ისტორიის მანძილზე მიეცა შანსი მოხვდეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამისთვის დარჩენილი სამი შეხვედრიდან თურქებმა ორი მაინც უნდა მოიგონ. შინ უნგრეთისა და სტუმრად ისლანდიის გუნდებთან შეხვედრაში. შვეიცარიის ნაკრებს, რომელმაც ბრწყინვალედ დაიწყო ჯგუფური ტურნირი ოდნავ უფრო რთული მდგომარეობა აქვს. იგი დარჩენილ ორ მატჩს გამართავს შვედეთისა და უნგრეთის გუნდებთან. ინგლისში წასვლის თეორიული შანსი დარჩა შვედეთის ნაკრებს. ამისთვის შვედებმა უნდა დაამარცხონ შვეიცარიის და თურქეთის გუნდები. ამის გარდა, შვეიცარიელებიც და თურქებიც უნდა დამარცხდნენ შინ უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: შვედეთი შვეიცარია, თურქეთი უნგრეთი.

IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 6 | 1 | 1 | 13-3 | 19 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ლიტვა | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| უკრაინა | 7 | 3 | 1 | 3 | 5-8 | 10 |
| სლოვენია | 7 | 2 | 2 | 3 | 9-8 | 8 |
| ესტონეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 3-26 | 0 |

3 სექტემბერს ხორვატიის ნაკრებმა გაანადგურა ესტონეთის გუნდი 7:1 და კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. მაგრამ პირველი ადგილის ბედი ალბათ 8 ოქტომბერს გადაწყდება, როცა ხორვატები შინ იტალიელებს მიიღებენ. დარჩენილი ოთხი შეხვედრიდან იტალიელები სამს სახლში უკრაინის, სლოვენიის და ლიტვის გუნდებთან ჩაატარებენ, ვფიქრობთ, რომ ამ ქვეჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: იტალია სლოვენია, ლიტვა უკრაინა.

V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 2 | 0 | 17-2 | 20 |
| ჩეხეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-5 | 12 |
| ჰოლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-5 | 11 |
| ბელორუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 2-18 | 6 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-15 | 2 |

პირველი ადგილის ბედი შეიძლება დღეს ჩეხეთ-ნორვეგიის შეხვედრაში გადაწყდეს. ნორვეგიელებს მიზნის მისაღწევად ფრეც ჰყოფნით. აი ჰოლანდიის ნაკრები კი ბელორუსთან დამარცხების შემდეგ, მოულოდნელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ახლა ჰოლანდიელებმა სამივე თამაში უნდა მოიგონ, ისე, რომ ჩეხეთის გუნდმა ერთი შეხვედრა ფრედ დაასრულოს. საერთოდ ეს ქვეჯგუფი კურიოზებით გამოირჩევა (ბელორუსი-ჰოლანდია 1:0, ლუქსემბურგი-ჩეხეთი 1:1). დღეს ერთმანეთს ხვდებიან: ლუქსემბურგი-მალტა, ჰოლანდია-ბელორუსი, ჩეხეთი-ნორვეგია.

VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 6 | 1 | 1 | 25-6 | 19 |
| ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-4 | 14 |
| ავსტრია | 7 | 4 | 0 | 3 | 22-7 | 12 |
| ჩრდ.ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 11-12 | 11 |
| ლატვია | 8 | 3 | 0 | 5 | 9-18 | 9 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-35 | 1 |

3 სექტემბერს პორტუგალიის ნაკრებმა შინ ფრედ 1:1 ითამაშა ჩრდ. ირლანდიის გუნდთან და ინგლისის საგზურის ვადამდე მოპოვების რეალური შანსი დაკარგა. დარჩენილ ორ შეხვედრას პორტუგალიელები ავსტრიის და სახლში ირლანდიის გუნდებთან გამართავენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ პორტუგალიის ნაკრები ბოლო დროს აღმავლობის გზაზე დგას, ვფიქრობთ, მას არ უნდა გაუჭირდეს პირველი ადგილის მოპოვება. II ადგილის ბედი კი, ალბათ, დღეს ავსტრია-ირლანდიის შეხვედრაში გაირკვევა. ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი ლატვია-ლიხტენშტაინი გაიმართება.

VII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-4 | 18 |
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| საქართველო | 7 | 4 | 0 | 3 | 9-5 | 12 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-11 | 6 |
| მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 7-18 | 6 |
| უელსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-16 | 4 |

ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა ნიურნბერგში გაიმართება, სადაც გერმანიის გუნდი საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებს. გერმანელებმა ეს მატჩი პატარა ფინალად მონათლეს, რადგან საქართველოსთან გამარჯვება, მათთვის მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ თამაშის შემდეგ გერმანელები უელსის და მოლდოვის ნაკრებებს ხვდებიან. ორივე გუნდი ბოლო ადგილებზე გასვლის რეალური პრეტენდენტია, ამიტომ ამ გუნდებთან შეხვედრაში მოპოვებული ქულები კოეფიციენტის დათვლის დროს გერმანელებს არ დაერიცხებათ. ბოლო მატჩში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ბულგარელებს ხვდებიან და ღმერთმა იცის ეს შეხვედრა, როგორ დამთავრდება. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ყურადღებას უთმობენ გერმანელები ჩვენებთან მატჩს. უახლესი ინფორმაციით მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია. სასწრაფოდ გამოჯანმრთელდა იურგენ კლინსმანი. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ბერტი ფოგთსი, ასე რომ „პატარა ფინალი" ყველაფერს გაარკვევს. დღეს კიდევ ორი თამაში გაიმართება: უელსი-მოლდოვა, ალბანეთი-ბულგარეთი.

VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 24-1 | 17 |
| შოტლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-3 | 17 |
| ფინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 17-14 | 15 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-7 | 12 |
| ფარერები | 7 | 1 | 0 | 6 | 5-24 | 3 |
| სან-მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-25 | 0 |

ამ ჯგუფში ყველაფერი თავიდანვე გარკვეული იყო და კურიოზებიც არ მომხდარა. რუსეთის ნაკრები, რომელსაც წილისყრის დროს ძალიან გაუმართლა პირველობას აღარ გაუშვებს. მეორე საგზურს კი, ალბათ, შოტლანდიის ნაკრები მოიპოვებს, რომელიც თავის უშუალო კონკურენტს, ფინეთის ნაკრებს მასპინძლობს.

დღეს სამი შეხვედრა გაიმართება: შოტლანდია-ფინეთი, სან-მარინო-საბერძნეთი, ფარერები-რუსეთი.

კახა ფაჩუაშვილი

მოზაიკა

## "ვითა" მზადაა „ჟალგირისთან" მატჩისთვის.

ქართველი კალათბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა პირველ მატჩს ლიტვის ჩემპიონ კაუნასის „ჟალგირისთან", რომელიც, როგორც ცნობილია, 7 სექტემბერს სპორტის სასახლეში უნდა გაიმართოს. ამ მიზნით საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ვითამ" სპარინგ-პარტნიორად რუსეთის ჩემპიონატის მონაწილე მოსკოვის „სპარტაკი" მოიწვია. საკლუბო გუნდების დონეზე ეს გახლდათ პირველი ოფიციალური საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

* სპორტის სასახლეში შეკრებილ კალათბურთის მოყვარულებს მაჩნდათ, რომ სტუმრები ჩქაროვან წინააღმდეგობას გაუწევდნენ ქართველ სპორტსმენებს, რომლებთაც ხუთშაბათს არვიდას საბონისის საკმაოდ ძლიერ გუნდთან მოუწევთ შერკინება. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თბილისელებმა მატჩის პირველსავე წუთებიდანვე შეძლეს წინ გასვლა და ტაიმი 48:29 მოიგეს.

მეორე ნახევარში თამაში ცალ კალათში მიმდინარეობდა მასპინძლებმა თავის თაყვანისმცემლებს კომბინაციური და გააზრებული თამაში უჩვენეს და საკმაოდ ადვილად 101:66 მოიგეს პირველი საერთაშორისო მატჩი. ნაცვლიშვილმა 20 ქულა შესძინა თავისიანებს, ქარაბაკმა 19, დეროუგინმა 10, ხოლო შენგელიამ 9. სპარტაკელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო კონდრატოვი 24 ქულა.

## ფრენკ ბრუნო-მსოფლიოს ჩემპიონი

ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე 45 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს მატჩს მსოფლიოს პირველობაზე კრივში მძიმე წონის პროფესიონალ სპორტსმენთა შორის. როგორც „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტი ინგლისის დედაქალაქიდან იუწყებოდა ამ 12-რაუნდიანი ორთაბრძოლის საპრიზო ფონდი 100 მილიონი დოლარი იყო. გამარჯვებული 90 მილიონს ღებულობდა, ხოლო წაგებული 10 მილიონს. გიგანტურ სტადიონზე დამონტაჟებულ რინგზე მსოფლიოს ჩემპიონი (კრივის მსოფლიოს საბჭოს ვერსიით) ამერიკელი ოლივერ მაქქოლი 33 წლის ბრიტანელ მოკრივეს ფრენკ ბრუნოს შეხვდა. ამ მატჩის წინ მაქქოლი აცხადებდა, რომ ნოკაუტით დაამარცხებდა ბრუნოს და გაისად მარტში თვით მაიკ ტაისონს შეხვდებოდა. ოლივერ მაქქოლი აცხადებდა, რომ მას სურვილი აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვოს ყველა რანგის ასპარეზობაში. მაქქოლი ლონდონის რინგზე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ შავკანიანმა ბრუნომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კრივის ბრიტანული სკოლისთვის მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოეტანა, რის გაკეთებაც მან შესძლო, როცა ქულებით დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი ოლივერ მაქქოლი.

## ორი ტურის შემდეგ

კიშინიოვი (ჩვენი სპეცკორ.) საზონათაშორისო ტურნირის მეორე ტურში ნანა იოსელიანის მნიშვნელოვანი პარტია პრეტენდენტთა უკანასკნელი ასპარეზობის მონაწილე რუმინელ ფოიშორთან ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ნინო გურიელის შეხვედრა ესპანელ კალცეტასთან. ქეთევან არახამიამ მოუგო რუმინელ რადუს, ნათია ჯანჯღავამ ბურტმანს (აშშ), მირანდა ხორავამ მოშინას (მოლდოვა). ეძგვერაძე უკეთეს პოზიციაში შეცდა და დამარცხდა ჟუ ჩენთან (ჩინეთი), ნინო ხურციძემ წააგო მაქსიმოვიჩთან (იუგოსლავია). მაია ლომინეიშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა 18 წლის ბულგარელ დიდოსტატ სტეფანოვასთან. ორი გამარჯვება აქვს ქეთევან კახიანს (გერმანია).

ორი ტურის შემდეგ მონაწილეთა დიდ ჯგუფს ორ-ორი ქულა აქვს მათ შორის, კახიანის გარდა, არის არახამიაც.

# ქართველ ფალავანთა „ძველი წრე"

ქართველი სპორტის მოყვარულები არ არიან განებივრებულნი სპორტზე და განსაკუთრებით კი ჭიდაობაზე დაწერილი მაღალი დონის ლიტერატურით. ჭიდაობის თემაზე დაწერილ წიგნებს ნატრულნი კი ამ ბოლო პერიოდში ნამდვილად გავხდით. რაოდენ სასიხარულოა, რომ დღესაც ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომლებიც საერთო თუ პირად გაჭირვებას არაფრად აგდებენ და გულმოდგინე შრომის ფასად გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებზე ნაშრომებს ქმნიან. სწორედ ასეთია თვითონ ნარხულში ცნობილი კლასიკური მოჭიდავე, დღეს უკვე სპორტის დაუღალავი ქომაგი ბატონი გაბრიელ ბარჯაძე; ქართველმა მკითხველმა უკვე მრავალგზის იხილა გაბრიელ ბარჯაძის სპორტულ თემებზე გამოქვეყნებული მრავალი სტატია, ნერილი, ბროშურა და წიგნი. მათ შორის კი უკანასკნელ ხანს გამოცემული „ძველი წრე" განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგანაც ეს არც თუ ისე დიდი მოცულობის წიგნი ბრწყინვალედ წარმოგვიდგენს დიდ ქართველ ფალავანთა ცხოვრების გზასა და ისტორიას. „ძველი დროის ე.წ. სახალხო ფალავნების კვალზე არაერთი ქართველი ჩემპიონი აღიზარდა, საქართველოში ჭიდაობა მარტო გართობა კი არა, ჩვენი ისტორიის ნაწილია, ჩვენში ყმაწვილის ჯანის სიმრთელე სწორედ ქართულ ჭიდაობაში ყალიბდებოდა" ამ სიტყვებით იწყებს ავტორი თავის წიგნს და არ შეიძლება არ დაეთანხმო, რადგანაც ჭიდაობის ყველა ქომაგმა იცის თუ რა იყო ქართული ჭიდაობა ქართველებისთვის და ვინ იყვნენ დიდი ქართველი ფალავნები საქართველოსთვის.

წიგნში მოთხრობილია თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი ფალავნის შესახებ, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სჭიდნენ, როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო არენებზე. არ შეიძლება ჭიდაობის ჭეშმარიტ ქომაგებს აღტაცება არ მოჰგვაროს ისეთმა დაუვიწყარმა სახელებმა, როგორებიც იყვნენ: სანდრო კანდელაკი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, დავით ხიზამბარელი, კოსტა მაისურაძე, ვანო ქიზიყელი, თედო ლილოელი, კოლია ქვარიანი, ვანო მიდელაური, მიხა ქურხული, მიხა ნახალოვკელი, ვანო ნამალაშვილი, მიშიკო მაჩაბელი, გიორგი ოდიშელი, ძმები ვერელები, ირაკლი ვაჩნაძე და სხვა მრავალი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოჩენილ ქართველ გოლიათებს გვერდს უმშვენებს ღირსეული ქართველი ქალი ანაბაჟად ცნობილი, მუხათელი ანა ბაჟიაშვილი. წიგნში მოთხრობილია მეტად საინტერესო ისტორიები ამ ქართველ დევგმირებზე, მათ გვერდითვე ჩვენ ვეცნობით იმხანად მსოფლიოში განთქმულ სხვა ეროვნების მოჭიდავეებსაც, მათ შორის: ივან პოდდუბნის, ივან ზაიკინს, ალიოშა გრამილოვს, პაველ ზაგარიუკოს, ნორკინს, ზბიშკო ციგანევიჩს, იანი იაგოს, აპოსტოლუს აპოსტოლუს, ჟოზეფ მონდს, კლემენტი ბულს და სხვა დიდოსტატებს, რომელთა სახელებმა წარუშლელი კვალი დასტოვეს მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საინტერესო ბიოგრაფიებს თან ერთვის უნიკალური ფოტოები.

დავით სანდოძე

გასწორება

„კავკასიონის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ცნობილ მთამსვლელთან, ბიძინა გუჯაბიძესთან, რომელიც ამჟამად ჰიმალაის ექსპედიციაში იმყოფება. აღნიშნული მასალის წინასიტყვაობაში ჯგუფის ერთ-ერთ წევრად დასახელებულია მთამსვლელი მერაბ ხემსიწვერიძე, რომელიც ექსპედიციაში არ მონაწილეობს. „კავკასიონის" რედაქცია მკითხველს ბოდიშს უხდის ამ უნებლიე შეცდომისთვის.

ART MONITOR

ახალი ამბები

## „RED HOT CHILI PEPERS"-Ი ჯონ ლენონის . . .

ამ წელს ჯონ ლენონს 55 წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით, წლის ბოლოსთვის დაგეგმილია დიდი მუსიკოსის ხსოვნისადმი



ჯონ ლენონი

მიძღვნილი რამდენიმე აქცია. მაგალითად: გადაწყდა ალბომის გამოცემა, რომელზეც ჯონ ლენონის ცნობილი სიმღერების ვერსიებს შეასრულებენ ისეთი განსხვავებული ხელწერის მუსიკოსები, როგორებიც არიან: Mary Chapin Carpenter, Collective Soul, Red Hot Chili Peppers.

## დევიდ ბოუის ახალი ალბომი

ახლახან დევიდ ბოუიმ ფირმა BMG-სთან ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმად ბოუიმ თავისი მომავალი ხუთი ალბომი ამ ფირმასთან ერთად უნდა გამოუშვას. 25 სექტემბერს გამოვა პირველი მათგანი, რომელსაც Outside ჰქვია.

## ისინი ჩაწერას განაგრძობენ

მას შემდეგ შვიდი თვე გავიდა, რაც გაუჩინარდა ჯგუფ „Manic Street Preachers"-ის სოლისტი რიჩი ედვარდსი. ჯგუფის დარჩენილმა წევრებმა კი სტუდიური მუშაობის განახლება გადაწყვიტეს.

1995 წლის დასაწყისში, ამერიკაში მეტად საპასუხისმგებლო ტურნეს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რიჩი ედვარდსმა დატოვა ლონდონის სასტუმრო და გაქრა. ჯგუფის ათასობით „ფანი" დიდ დახმარებას უწევდა პოლიციას მუსიკოსის მოსაძებნად, თუმცა, გაქრობის მიზეზები ჯერ კიდევ იდუმალებითაა მოცული. მოგვიანებით რიჩის მანქანა ინგლისის დასავლეთით ერთ-ერთ ხიდთან იპოვეს. ვარაუდობენ, რომ სწორედ იქ მოიკლა მან თავი.

## როკი და ქველმოქმედება

ბრიტანეთის წამყვანი როკ-ჯგუფები „Blur",„Oasis", „Stone Roses" და პოლ უელერი ერთ დღეში ჩაწერენ საქველმოქმედო ალბომს, რომლის მთელი შემოსავალიც ბოსნიელ ბავშვებს გადაერიცხებათ. სტუდიური სამუშაოს დამთავრებიდან ხუთი



BLUR

დღის შემდეგ დისკი მაღაზიის დახლებზე გამოჩნდება.

## „ETERNAL" ლუიზას არ მისტირის

ჯგუფ „Eternal"-ს ერთი წევრი მოაკლდა, თუმცა, როგორც ჩანს, მათ მართლაც მარადისობისკენ უჭირავთ თვალი. ამას წინათ ჯგუფმა დაადასტურა ნოემბერში ახალი (ამჯერად ტრიოს შესრულებით) ალბომის გამოშვების შესახებ, რომელსაც „Power Of A Woman" ერქმევა, ხოლო რაც შეეხება ანსამბლიდან წასულ ვოკალისტ ლუიზა ნერდინგს, მისი პირველი სოლო სინგლი Light Of My Life სამ კვირაში გაიჟღერებს უცხოურ რადიოსადგურებში.

## გაყრა

ჯგუფ „Duran Duran"-ის გიტარისტი ენდი ტეილორი სამი წლის ქორწინების შემდეგ მეუღლეს, ამანდა დე კადენეს გაეყარა. ორივე, მიზეზად ასაკში თორმეტწლიან განსხვავებას ასახელებს, თუმცა, ამბობენ, რომ კარგ მეგობრებად რჩებიან.

## მაიკლ ჯექსონი პირველია

ამერიკის ჰიტ-პარადზე ახალი ლიდერი გამოჩნდა. ესაა მაიკლ ჯექსონის მორიგი სინგლი „You are not alone". ეს სიმღერა ინგლისის სიმღერების ჩარტში კვირის ყველაზე წარმატებულ სიახლედ მიიჩნევა. მან მესამე ადგილს მიაღწია და ჯერ ვერაფერი დააკლო პირველ და მეორე ადგილზე გამაგრებულ „Blur"-სა და „Oasis"-ს.

## ფიშტოიანი ნინა სიმონე

ჯაზ-მომღერალი ნინა სიმონეს 8 თვით პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და ხუთი ათასი დოლარით დააჯარიმეს. მან შესაშინებლად



ნინა სიმონე.

იარაღი ესროლა 15 წლის მოზარდს, რომელიც მომღერლის სახლთან ახლოს, აუზში ჭყუმპალაობდა და ხმაურით იკლებდა იქაურობას. თუ ჯაზს მღერიხარ, Jazz -ის ატანაც უნდა შეგეძლოს.

ხაგენტო მ.ი.ხ.ა.

კინოს სიახლეები

ამერიკის ეკრანებზე გამოდის ფილმი, რომელსაც დიდი ხანია მოუთმენლად ელოდნენ მძაფრსიუჟეტიანი ფილმების მოყვარულები. „მოსამართლე დრედი", ცნობილი ინგლისური კომიქსის გმირი. მას განასახიერებს სილვესტერ სტალონე. ფილმში სტალონეს პარტნიორობას უწევს რობ შნაიდერი, რომლის ამპლუაც აქამდე კომედიური როლებით შემოიფარგლებოდა. ეს მისი პირველი მონაწილეობა ბოევიკში და მსახიობის თქმით, გადაღების პროცესი მისთვის მძაფრი და უჩვეულო განცდებით იყო დატვირთული. ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლ მოსამართლეს უპირისპირდება რიკო-არმანდ ასანტეს შესრულებით. რიკო ეს ანტიდრედია, ბოროტი ძალის განსახიერება. კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, როგორც მოეთხოვება მაღალი კლასის ბოევიკს, გაწნაცვიფრებელი ვიზუალური ეფექტებისა და თავბრუდამხვევი ტრიუკების ფონზე მიმდინარეობს.

* * *

„პოკაჰონტასი" ასე ჰქვია სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმს, რომლის გადაღება ახლახან დამთავრდა დისნეის სტუდიაში. ამჟამად სტუდიამ ეროვნულ ისტორიას მიმართა. პოკაჰონტასი ეს ინდიელი ქალიშვილის სახელია, რომლის თავგადასავალსაც მოგვითხრობს ფილმი. პოკაჰონტასი ძლიერი, პირდაპირი, დამოუკიდებელი ხასიათია, რომელიც დიდი საქმეებისთვის არის დაბადებული. ფილმი ამერიკის კოლონიზაციის ისტორიაზე მოგვითხრობს და როგორც მიიჩნევს ინდიელი აქტივისტი რასელ მინსი, მოგვითხრობს ისე მართლად, როგორც იშვიათად ამერიკულ კინოში, სწორედ ამიტომ დათანხმდა იგი გაეხმოვანებინა მთავარი გმირის მამის როლი. ფილმის ერთ-ერთ გმირს თავგადასავლების მაძიებელ კაპიტანს ცნობილი ვარსკვლავი მელ გიბსონი ახმოვანებს.

* * *

ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა კლოდ შაბროლმა დაამთავრა ახალი ფილმის გადაღება, რომლის სახელწოდებაცაა „ცერემონია" და რომელიც ორი ქალის ისტორიაზე მოგვითხრობს. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ფრანგული კინოს ვარსკვლავები იზაბელ იუპერი და სანდრინ ბონერი.

* * *

ვენეციაში მიმდინარეობს 52-ე საერთაშორისო კინოფესტივალი. საპატიო ჯილდოსთვის პაექრობაში ჩაბმულია 16 ფილმი 14 ქვეყნიდან, 3 ფილმით წარმოდგენილია მასპინძელი იტალია, 2 ფილმით ამერიკა. კონკურსში პირველად მონაწილეობს კინოსურათი ყაზახეთიდან.

* * *

10 სექტემბერს ბათუმში იხსნება მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს არწივი". ამ ფესტივალზე ქართული კინოს ღირსებას დაიცავს ნ.მანაგაძის „ნათლისღება" და ე.ბადურაშვილის „თბილისი ჩემი სახლია".

მ. ლ.

## O TEMPORA, O MORES!

6 სექტემბერი

1935 60 წლის წინ დაიბადა მხატვარი თენგიზ მიქაძე.

1939 გერმანიის ჯარებმა გაარღვიეს პოლონეთის არმიის დაცვა ყველა ხაზზე.

1944 საბჭოთა ჯარებმა დაასრულეს ტარტუს შეტევითი ოპერაცია.

1952 ჟენევაში, კონფერენციაზე ხელი მოეწერა მსოფლიო კონვენციას საავტორო უფლებების შესახებ. იგი იუნესკოს ეგიდით შემუშავდა. საბჭოთა კავშირი მას 1973 წლის 27 მაისს შეუერთდა.

1968 ლონდონში -ის „While my Guitar Gently Weeps"-ის ჩაწერა. გიტარის პარტიას ერიკ კლეპტონი ასრულებდა.

1974 გაიყვანეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის პირველი კილომეტრი.

## გახსენება





მადონა მელქოს ასული ლომიძე და დიმიტრი იოსების ძე ფოფხაძე

კართუბნის საშუალო სკოლის სოფლისთა მასწავლებლები. ძნელია შეეგუება იმ აზრისა, რომ თქვენ ჩვენს გვერდით აღარ ბრძანდებით. თქვენი სახით ხომ სამაგალითო პიროვნებები მოაკლდა სოფელს.

ქართველები ვამბობთ ხოლმე: „ვინც მოკვდა თავსა მოუკვდაო!". მაგრამ ეს არ ითქმის თქვენზე. თქვენ, თქვენ თავს კი არ მოუკვდით, არამედ საყვარელ შვილებს, ნანის და რონის, მოგვიკვდით ჩვენ, კართუბნის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და მოსწავლე-ახალგაზრდობას.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმ დიდ მწუხარებას, რომელიც თქვენმა უდროოდ წასვლამ მოგვაყენა, ალბათ, ვერავითარი დრო ვერ განკურნავს. თქვენ სამუდამოდ ტკივილად დარჩებით ჩვენთვის.

გახსენება! როგორი მძიმე და ტკივილიანი სიტყვაა, მით უფრო, როცა სიცოცხლისა და სიკეთისთვის გაჩენილ ადამიანებზეა იგი სათქმელი. ორი წლის წინ გამოგეთხოვეთ ცრემლით, მაგრამ ხშირად ვიხსენებთ თქვენთან ერთად გატარებულ დღეებს. ყველას გაჭირვებასა და სიხარულს თავისად რომ მიიჩნევდით, ყველას ტკივილი რომ გტკიოდათ, საკუთარს კი ვეღარ მოერიეთ და ვეღარც ვერავინ გიშველათ.

45 წელი ემსახურეთ, მადონა მასწავლებელო, იმ უდიდეს და უკეთილშობილეს საქმეს, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდა რომ ჰქვია. ამ ხნის განმავლობაში, თქვენს ხელში აღიზარდნენ ნამდვილი ადამიანები, რომლებსაც დღესაც წინ მიგვიძღვის თქვენი ნათელი მაგალითები. თქვენ ხომ მომავალ თაობებს მამულიშვილობის ჭეშმარიტ სიყვარულს შთააგონებდით. თქვენ იყავით თვითმპყრობელი ქართული ენისა და დიდებული მოძღვარი ახალგაზრდობისა.

„ფუჭია იგი სიცოცხლე, რომელიც ვერარას არგებს მამულსა"-ო, ხშირად გვეტყოდით. თქვენ განვლეთ შეგნებული ცხოვრების გზა, მაღალი ნიჭით და მაღალი სიტყვიერებით. თითოეული წამი თქვენი ცხოვრებისა, მაგალითი იყო ჩვენთვის. მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება, ერთი დიდი სკოლაა სათნოებისა და სიყვარულის. პატიოსნება, ინტელიგენტურობა, კეთილშობილება, უპრეტენზიო ერთგულება და სიკეთე, სანაცვლოდ რომ არაფერს ითხოვდით, თქვენი ბუნება და თქვენი ხასიათი იყო.

დღეს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოღვაწეობენ თქვენი აღზრდილები. ორი წლის წინ, მათმა უმრავლესობამ ცრემლით მიაცილა სამარემდე რჩეულთა შორის რჩეული მასწავლებლები მადონა ლომიძე და დიმიტრი ფოფხაძე. გვერწმუნეთ ძვირფასო მასწავლებლებო, ვერავითარი დრო ვერ წაშლის თქვენს მიერ პატიოსნებით განვლილ ცხოვრების გზას. თქვენი ახალგაზრდობა, თქვენი სიცოცხლე ხომ თქვენი შვილების აღზრდას მოახმარეთ. ამიტომ დაგიფასდათ ამაგი და თქვენი შვილები სამაგალითონი არიან, შვილები, რომლებიც განაგრძობენ ცხოვრებას ვაჟკაცობითა და კეთილი საქმეებით.

დღეს, ჩვენს თავს უფლებას მივცემთ, თქვენი მრავალრიცხოვანი აღზრდილების სახელით, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ დიდი ღვაწლისა და დიდი შრომისთვის.

მადონა მასწავლებელო და დიმიტრი მასწავლებელო!

იძინეთ მშვიდად, დალოცეთ ყველა ზეცური საქართველოდან, ვისზეც ამაგი გაგიწევიათ და ვინც თქვენს ხსოვნას სამარადჟამოდ გულში შემოინახავს.

ლაგოდეხის რაიონის, სოფელ კართუბნის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლე-ახალგაზრდობა

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი, დავით კახაბერი, შადიმან შამანაძე, ვახტანგ სალია, გულსუნდა სიხარულიძე.

პასუხისმგებელი მდივანი მაია ტორაძე, სარეკლამო სააგენტოს დირექტორი დიმიტრი მოსულიშვილი
კომპიუტერული ცენტრის უფროსი თენგიზ ჩოლოყაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-06; ფაქსი: 29-48-06.